პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნიაღვარს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 3 ივლისი 1925 .წ

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 150 (1305)

დღიური

— ინგლისში მუშებსა და მწარმოებლებს შორის დამოკიდებულება გართულდა.
— საბერძნეთში მთავრობის კრიზისი გრძელდება.
— საერთაშორისო კოოპ. კავშირი კოოპერაციის „ნეიტრალობას“ იცავს.
— ინგლისის პროფკავშირთა [illegible] ინდიელ რკინისგზელებს.
— უნგრეთში გრძელდება სოციალისტური პარტიის დევნა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი
იუწყება, რომ
შაბათს, 4 ივლისს,
კოოპერაციის საერთაშორისო დღეს,
საღამოს 7 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის
საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის პრ. № 121)
ამხ. გ. ზინოვიევი
გააკეთებს მოხსენებას
კოოპერაციის შესახებ
მოხსენებაზე მოწვეული არიან პარტიისა და პროფკავშირების წევრები.
თბილისის კომიტეტის მდივანი: ასრიბეკოვი.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად
ამა წლის 13 ივლისს
გაიხსნება
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მე-2 სესიის სხდომა.
სესიის დღიური წესრიგი გამოცხადებული იქნება დამატებით.
ს. ს. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

მუშაკების წამოყენება ქვედა ფენებიდან

პარტიულ ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი როგორც ქალაქად, ისე უფრო სოფლად დღეს მთელი თავისი სიმწვავითაა ჩვენს წინაშე წამოჭრილი. ამასთან დაკავშირებით იბადება აუცილებლობა გაუმჯობესებულ იქნას პარტიული და საბჭოთა აპარატი და შევსებულ იქნას იგი ქვედა ფენებიდან წამოყენებულ მუშაკების ახალი ძალებით. ამასთან საჭიროა უკეთესად იქნას დაყენებული ჩვენი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა დაეკისროს თვითეულ მუშაკს საწარმოოში თუ სოფლის უჯრედში განსაზღვრული მოვალეობა და განტვირთულ იქნეს იგი ზედმეტი მუშაობიდან.

მე-14-ე პარტკონფერენციამ ამ საკითხზე დაადგინა: „მიღებულ იქნას გადაჭრილი ზომები ზედმეტი დატვირთვის, და შეთავსების წინააღმდეგ ცალკე ამხანაგების მუშაობაში და ამავე დროს წამოყენებულ იქნენ ახალი მუშაკები, განსაკუთრებით მუშებისა და გლეხების წრეებიდან“. პარტიის მიერ უკანასკნელ ხანებში წარმოებულმა მუ მუშაობამ სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივ მუშაობაში უპარტიო მუშების და გლეხების ჩასაბმელად სავსებით გაამართლა თავისი თავი: წამოყენებულ ამხანაგების უმრავლესობა წარმატებით ასრულებს დაკისრებულ საქმეს. ამასთან ერთად, მუშაკების ახალმა კადრმა განამტკიცა სათანადო ორგანოების კავშირი მუშურ და გლეხურ მასასთან უფრო, დაუახლოვა მოსახლეობას პარტიული და საბჭოთა აპარატი.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ქვედა ფენებიდან ახალი მუშაკების წამოყენებას დღემდე ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი: იგი ტარდებოდა ზოგიერთი ორგანიზაციების მიერ უფრო ცალკე კამპანიების სახით, ან შემთხვევიდან შემთხვევამდე. გარდა ამისა, ეს წამოყენება ხშირად ფორმალურად, მექანიკურად ხდებოდა. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა იმ ამხანაგების წინასწარ მომზადებას, რომელთა ამა თუ იმ სამუშაოზე წამოყენება იყო განზრახული. აგრეთვე დაწესებულებები, სადაც ახალი მუშაკები იგზავნებოდენ, ყოველთვის არ ეკიდებოდენ სერიოზულად მათი გამოყენების საქმეს.

საჭიროა ამ ნაკლულევანებათა აღმოფხვრა, ამ დარგში არსებულ დაბრკოლებათა გადალახვა. ქვედა ფენებიდან ახალი მუშაკების წამოყენება უნდა გახდეს პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად. ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს არა მარტო მე-14-ე პარტკონფერენციის ზოგადი დირექტივი, არამედ რ.კ.პ. ცეკასთან გამართულ ორგანყოფილებათა გამგეების თათბირის დაწვრილებით შედგენილი დადგენილება.

თათბირმა აუცილებლად აღიარა წარმოებულ იქნას მუშაობა ქვედა ფენებიდან ახალი მუშაკების წამოსაყენებლად ორი მიმართულებით: ჩაბმულ იქნან უფრო აქტიური და ნიჭიერი ამხანაგები არჩევის ან დანიშვნის გზით სხვადასხვა ორგანოებში როგორც მუდმივ, ისე დროებით სამუშაოზე. ამასთან ერთად პარტკომები სისტემატიურად უნდა არკვევდენ იმ პასუხისმგებელ მუშაკების [illegible] შემადგენლობას, რომელთა შეცვლა შეიძლება ახალი ამხანაგებით და წინასწარ აცნობებდენ კომუჯრედებს ახალ მუშაკებზე დაწესებულებების მოთხოვნილებათა შესახებ. მუშების და გლეხების წამოყენების საქმეში ქალაქის და სოფლის უჯრედები უნდა იზიდავდენ ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტებს და საქარხნო მმართველობას, ხოლო სოფლად საბჭოებს, გლეხკომებს და სხვა ორგანიზაციებს. უახლოესი პერიოდისათვის თათბირმა სანიმუშოდ დასახა ისეთი ორგანოები, რომლებიც უნდა იქნან სამუშაოზე წამოყენებული ახალი მუშაკები—მუშები და გლეხები: საერთო განყოფილებანი, საადგილ-მამულო განყოფილებანი, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებები, ფინგანყოფილებები, მუშაგლეხთა ინსპექციის, კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანოები, აგრეთვე აღმასკომები.

ამგვარად შესაძლებელია უფრო მეტი მუშური და გლეხური ხასიათის მიცემა ქვედა საბჭოთა აპარატის ძირითადი ორგანოებისათვის. ამით ეს აპარატი უფრო დაუახლოვდება მშრომელთა ფართე მასებს, უფრო ადვილად მოექცევა მათ გავლენას და კონტროლს.

ახალი მუშაკების წამოყენების სფეროში წარმატებითი მუშაობის მეორე შედეგი უნდა იყოს სხვა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მოწესრიგება, პირველყოვლისა ჩვენი ქვედა პარტორგანოების და უჯრედების. აქ გადაჭრით უნდა იქნას შეცვლილი ის მდგომარეობა, როცა მუშაკები დატვირთული არიან უამრავი მოვალეობებით და ამიტომ ვერც ერთს ვერ ასრულებენ რიგიანად. ასეთი ამხანაგების განტვირთვა შეიძლება მხოლოდ მუშაკების ახალი წყების წამოყენებით როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართე წრეებიდან.

საბჭოთა სკოლა—პირით სოფლისაკენ

სოფლის კითხვა უმთავრესად იგივე მიწის კითხვაა. გლეხის ყველა საჭირბოროტო მოთხოვნილებები მიწის გარშემო იყრის თავს. იგი შეადგენს სოფლის მეურნის ეკონომიურ კეთილდღეობის საფუძველს.

ჩვენი ქვეყანა კი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში თავის მჭიდრო მოსახლეობით და აქედან გამომდინარე მიწის სივიწროვით. ბუნების სიმდიდრე და მრავალფეროვანობა აქ მდგომარეობას ვერას შველის.

რაც დრო გადის, სოფელი შეუჩერებლივ იზრდება და მაშასადამე მატულობს მიწაზე მოთხოვნილებაც. აქ მხოლოთ ერთად-ერთი გამოსავალი დაგვრჩენია. ესაა გლეხის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, სოფლის ტეხნიკურ კულტურის განვითარება, რომ გაიზარდოს მიწის სარგებლიანობა და შრომის გამღებს მან მეტი საცხოვრებელი რესურსები მისცეს. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა.

კითხვის ასე დაყენებაში ახალი თითქმის არაფერია, მაგრამ საგულისხმოა ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ, როცა მეურნეობის რაციონალიზაციაზე ვლაპარაკობთ, კითხვას მეტნაწილად ვუდგებით თვით ტეხნიკურ იარაღების შემოღების და გავრცელების საზომით. ამავე დროს ნაკლებათ ვფიქრობთ იმ ცოცხალ ადამიანებზე, რომელნიც უნდა გახდენ ამ იარაღების მომხმარებლათ და მის სოფლის მეურნეობაში გამომყენებლათ.

ცხადია, რომ გაუმჯობესებული შრომის იარაღები, ჰბადებს ამ იარაღით მომუშავე სოფლის მეურნეობის. ერთგვარ სპეციალობას. ეს განსაკუთრებით ასეა საქართველოს პირობებში, სადაც წვრილი გლეხური მეურნეობაა და, სადაც სოფლის შრომის მექანიზაცია, პირველ ხანებშუ მაინც, წავა ცალკე მეურნეობის გაუმჯობესების გზით.

ამიტომ, როცა ლაპარაკია გლეხის მეურნეობის კულტურის განვითარებაზე, ჩვენ სახეში უნდა გვქონდეს, რომ ამ საკითხს ტრაქტორისა და მანქანების გარდა, აქვს მეორე მხარეც. ეს მხარეა სოფლად აგრონომიულ და ტეხნიკურ ცოდნის გავრცელება, წვრილი მეურნის ახალი შრომის პირობებისათვის მომზადება.

რა კეთდება ამ მხრივ ჩვენში? ამის პასუხს მოგცემთ საბჭოთა ტეხნიკუმებ დამთავრებულთა წლევანდელი ათასების რიცხვი. არის მაზრებში, მაგალითად ოზურგეთის, სადაც წელს საშუალო განათლება დაასრულა ათას ხუთასმა კაცმა.

ყველამ იცის, რა ცოდნის მქონე გამოდის საშუალო სასწავლებლიდან ჩვენი ახალგაზრდობა. მათ ყველაფერი იციან და ამავე დროს არაფერი არ იციან. სოფლის მეურნეობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. და ეს მაშინ, როცა ეს ათასები დიდი უმრავლესობით წვრილი გლეხობის შვილია.

ყველა მათგანი, ცხადია, უმაღლეს განათლებას ვერ მიიღებს. და იმ ცოდნით, რომელიც მათ გააჩნიათ ეს ათასები ვერ ჰპოულობენ თავის შრომის გასაღების საშუალებას. აქედან ღებულობს, სხვათა შორის, სათავეს დღევანდელი მასიური უმუშევრობა, რომელიც უმთავრესად არაკვალიფიციურ ინტელიგენციის სენს წარმოადგენს.

ამას წინად რედაქციას მოუვიდა ცნობა, სადაც ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ერთ ტრაგიკულ შემთხვევაზე იყო ლაპარაკი. ახალგაზრდამ წვით და დაგვით დაასრულა სასწავლებელი და დიდი იმედებით და მომხიბლავ ილიუზიებით აღტყინებული გამოეშურა ქალაქისკენ. ღარიბი ოჯახი გარედან დახმარებას საჭიროებდა.

მალე სწავლა დამთავრებული შვილი იმედგაცრუებული სახლში ბრუნდება. სამსახური ვერ იშოვა, სოფლად მუშაობა ვერ შესძლო. ამას ბუნებრივათ მოჰყვა ოჯახური უსიამოვნება. ეს ვეღარ აიტანა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ახალგაზრდამ და საქმე თვითმკვლელობით დაბოლავდა.

ცხადია, ასეთი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ ეს იმის მაჩვენებელია, რამდენად კიდევ ვერ შევძელით ჩვენ სოფლის საჭიროებასთან დაახლოება, რამდენად კიდევ ვერ მიბრუნდა ჩვენი სკოლა პირით სოფლისაკენ.

დაბალი საფეხურის სამეურნეო სკოლები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია. ისეთი სასწავლებელი, რომელიც მოგვცემს კულტურულად აღზრდილ სოფლის მეურნეს ჩვენ არ მოგვეპ[illegible] მდგომარეობა კი ისეთია, [illegible] ფელს ესაჭიროება არა იმდენად თეორეტიკოსი, რამდენად პრაქტიკოსი აგრონომები, უშუალოდ სოფლის მეურნეობაში ჩაბმული საქმის მცოდნე კაცი.

ამიტომ ჩვენმა სკოლამ აქედანვე უნდა აიღოს კურსი სოფლად აგრონომიულ ცოდნის გავრცელებისაკენ. რაც ნაკლები იქნება საერთო ხასიათის სასწავლებლები, რომლებიც დილეტანტებს უფრო გვაძლევენ, ვიდრე საქმისათვის გამოსადეგ ხალხს, მით უკეთესია გლეხის მეურნეობისათვის, მით უფრო უჯობს საბჭოთა აღმშენებლობის წინმსვლელობის საქმეს.

სოფლად მუშაობის საკითხი ჩვენს წინაშე არ სდგას, როგორც დაკვრითი ამოცანა, რომლის გადაჭრაც ერთი შეტევით შეიძლებოდეს. პარტიას და სახელმწიფოს სოფლის კითხვა ესმის, როგორც ხანგრძლივი და მიზანშეფარდებულ მუშაობის საქმე. თუ ეს ასეა, საბჭოთა სკოლამ ერთი პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ამ მუშაობაში და აქედანვე ეზიდოს პირით სოფლისაკენ მისაბრუნებლათ.

ა.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ამხ. ჩიჩერინი ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

რა სურს ბირკენხედსა (ინდოეთის საქმეთა მინისტრს) და მის ამხანაგებს.—ბირკენხედის ზრახვების განხორციელება ზიანს მოუტანს პირველ რიგში თვით ინგლისს.—ინგლისში ეკონომიურ კრიზისს ბოლოს მოუღებს მხოლოდ ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის.—ჩინეთში იმპერიალისტების წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობა არის უკანასკნელთა პოლიტიკის და არა „ბოლშევიკური ინტრიგების“ შედეგი.—ჩვენ არ ვერევით ინგლის ჩინეთის ურთიერთობაში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თანაგრძნობა ჩინეთის ხალხის მხარეზეა.—თუ ინგლისთან დღემდი არ არის დამყარებული ნორმალური ურთიერთობა, ამაში დამნაშავეა კონსერვატორების მთავრობა.—მხოლოდ საბჭოთა კავშირი ზრუნავს საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი, 2 ივლისი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა განაცხადა:

ანტისაბჭოთა კამპანია ინგლისში.

„ინგლისის პრესის ერთ ნაწილში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების პრესაშიაც, ჩინეთის ამბებთან დაკავშირებით სწარმოებს გააფთრებული კამპანია ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ. ამ კამპანიას თითქმის ოფიციალური სანქცია მისცა ინდოეთის საქმეთა მინისტრის ლორდ ბირკენხედის გამოსვლამ, რომელიც შეეხო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს-ბირკენხედმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობამ შემთხვევა არ მისცა განეხილა გაერთიანებულ ევროპასთან ერთად საკითხი იმ საშინელი და სახიფათო სენის შესახებ, რომელსაც ეწოდება ბოლშევიზმი. ის დაემყარა ჩემბერლენის სიტყვას, რომელმაც განაცხადა, რომ მღელვარებას ჩინეთში აძლიერებენ სხვა სახელმწიფოს აგენტები. შემდეგ მან განაცხადა, რომ დადგება დრო, როცა ინგლისის მთავრობა შეეკითხება თავის თავს, ნუ თუ ის ასე უმწეოა, რომ სახელმწიფო, რომელთანაც ის პირისპირ დგას და რომელსაც ჰყავს დიპლომატიური წარმომადგენლობა ინგლისში, სცდილობს განუწყვეტელი არალეგალური მუშაობით მთელს მსოფლიოში დაამხოს ინგლისის იმპერია.

რას სცდილობს ბირკენხედი?

მე, როგორც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს, არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ამ სახელმწიფოს მთავრობის წევრის ასეთი არაჩვეულებრივი გამოსვლა, რომელთანაც ჩვენ გვაქვს ნორმალური ურთიერთობა. ბირკენხედი ფაქტიურად სცდილობს მოახერხოს დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა ჩვენსა და ინგლისს შორის. ამრიგად, მისი გამოსვლა უაღრესად აგრესიულია: ის არსებითად მოითხოვს ისეთი უაღრესად მტრული ნაბიჯის გადადგმას ჩვენს მიმართ, რომლის შემდეგ მხოლოდ ომი ხდება აუცილებელი.

თავისთავად ცხადია, რომ ბირკენხედი და მისი მომხრეები ეძებენ საბაბს, რომ გამოიწვიონ კონფლიქტი, რომლის შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია. ბირკენხედის გამოსვლა იმდენად სერიოზულია, რომ მე, როგორც საბჭოთა ფედერაციის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა, უნდა მივაქციო უდიდესი ყურადღება იმ მძიმე შედეგებს, რომლებიც მოჰყვებოდა ბირკენხედის მუქარის განხორციელებას. მსოფლიო კრიზისი—პოლიტიკური და ეკონომიური—უამისოდაც საკმაოდ მძიმეა. საყოველთაო პოლიტიკური მდგომარეობა უამისოდაც საკმაოდ გართულებულია. დეე ყველამ წარმოიდგინოს, თუ რას მოუტანს შედეგად დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. მე ამ შემთხვევაში სახეში მაქვს თვით ინგლისის და კერძოთ ინგლისის მშრომელთა ფართო მასების ინტერესები.

მხოლოდ საბჭოთა კავშირი შეამცირებს უმუშევრობას ინგლისში

ერთის მხრით, ყველასათვის ცნობილია უმუშევრობის ზრდა ინგლისში. ორი კვირის განმავლობაში (მაისიდან 8 ივნისამდე) უმუშევართა რიცხვი ინგლისში მეტად გაიზარდა. 15 ივნისისათვის უმუშევართა რიცხვი ინგლისში 228,000 კაცით მეტი, იყო ვიდრე შარშან. ინგლისში სამრეწველო კრიზისის ზრდა გამოიხატება იმაში, რომ ინგლისის სავაჭრო ბალანსი უნუგეშო მდგომარეობაშია. მას ახასიათებს უაღრესი პასივობა.

მეორე მხრით, დეე ყველამ დაინახოს ჩვენი საწარმოო ძალების და ჩვენი საგარეო ვაჭრობის დიდი და სწრაფი ზრდა. ჩვენს სახელმწიფოს შეუძლია ამჟამად გაცილებით უფრო მეტი საქონლის დაკვეთა ინგლისში, ვიდრე აქამდე.

ჩინეთი „დიდი“ სახელმწიფოების მსხვერპლია

ასეთია პირობები, რომელშიაც ბირკენხედი მოითხოვს ჩვენთან ურთიერთობის შეწყვეტას. ყველასათვის ნათელია, თუ რას მოასწავებს ეს ინგლისის ხალხის ფართო მასებისათვის. საბაბი ასეთი მოთხოვნილების წამოყენებისათვის ბირკენხედს მისცა ჩინეთის ამბებმა. დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ჩაგვრის მსხვერპლი, უფრო განვითარებულ ქვეყნების კაპიტალის ეკონომიური ექსპლოატაციის მსხვერპლი, ჩინეთში მყოფ ამ ქვეყნების წარმომადგენლების სისასტიკის მსხვერპლი—ჩინეთის ხალხი მასიურ გაფიცვების, სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ დემონსტრაციების გზით ალსდგა მონობის წინააღმდეგ.

ამერიკის ერთ-ერთმა გამოჩენილმა პოლიტიკოსმა—სენატორმა ბორამ ხანკოუს ამერიკის სავაჭრო პალატის რეზოლიუციის საპასუხოდ განაცხადა: „ჩინეთში არ ექნება ადგილი მღელვარებას, თუ უცხოელები პატივისცემით მოეპყრობიან ჩინეთის ხალხის უფლებებს“. მაგრამ ინგლისელ კონსერვატორების ერთი ყველაზე უფრო უკიდურესი ნაწილი, მათ შორის ბირკენხედიც, რომელთაც სურთ უცხოელების უღელქვეშ ამყოფონ ჩინეთის ხალხი, სცდილობენ ყველაფერი სხვა ვინმეს გადააბრალონ, რომ თავი იმართლონ თავისი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის წინაშე. მაგრამ ის ბრალდებები, რომელთაც ისინი უყენებენ ჩვენ მთავრობას, წარმოადგენენ სიყალბეს თავიდან ბოლომდე.

საბჭოთა კავშირი იცავს ჩაურევლობის პოლიტიკას.

პირველი, რითაც დაინტერესებულია ინგლისი ჩინეთთან ურთიერთობაში, ეს არის ვაჭრობის განვითარება ორივე ქვეყანას შორის. ვაცხადებ, ჩვენი მხრით არ არის გადადგმული არავითარი ისეთი ნაბიჯი, რაც თუნდაც ოდნავ ზიანს მოუტანდა ჩინეთის საგარეო ვაჭრობას და კერძოთ ვაჭრობას ჩინეთსა და ინგლისს შორის. პირიქით: ჩინეთის წინაშე წამოჭრილ საკითხების ისეთი გადაჭრა, რომელიც ჩემი აზრით ყველაზე უფრო სწორია, სახელდობრ განახლებულ და ცენტრალიზაციაქმნილ დემოკრატიულ ჩინეთის შექმნა, რომელიც იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი მისი სუვერენული უფლებების ყოველგვარ დარღვევისაგან, უაღრესად ხელს შეუწყობს ჩინეთთან სხვა ქვეყნების და კერძოთ ინგლისის ვაჭრობის განვითარებას.

მე არ ვფარავ, რომ ჩვენი მთავრობა და ჩვენი საზოგადოებრიობა თანაუგრძნობენ ჩინეთის ხალხის ბრძოლას ამ მიზნისათვის—სრული განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ცენტრალიზაციაქმნილ დემოკრატიულ წყობილების დამყარებისათვის, მაგრამ თანაგრძნობა სრულიად არ ნიშნავს მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევას. ჩვენი პოლიტიკა უაღრესად გაურბის ყოველივე იმას, რაც შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო, როგორც ჩარევა.

ისევე სრულ სიცრუეს წარმოადგენს იმის მტკიცება, თითქოს ჩვენს მთავრობას სურდეს შექმნას ან მხარი დაუჭიროს ჩინეთში ქაოტიურ მდგომარეობას. პირიქით: ჩვენი მთავრობა და ჩვენი საზოგადოებრიობა თანაუგრძნობს ჩინეთში ისეთი კარგად მოწყობილი დემოკრატიული წესწყობილების დამყარებას, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩინეთის ხალხის მშვიდობიან განვითარებას, რასაც ხელს არავინ არ უნდა უშლიდეს გარედან. ჩინეთში მხოლოდ იმპერიალისტური სახელმწიფოები უწევენ დახმარებას ხან ერთ, ხან მეორე გენერალს ან გენერალ-გუბერნატორს და ამით ხელს უწყობენ მუდმივ ურთიერთშორის ბრძოლას და არევ-დარევას და შეუძლებელს ხდიან დემოკრატიული წესწყობილების შექმნას.

პირიქით, სწორედ ჩვენი მთავრობა სთვლის ჩინეთის დემოკრატიას იმ გამოსავალად, რომელიც ყველაზე უფრო სასარგებლო და მიზანშეწონილი იქნება ჩინეთის და სხვა სახელმწიფოების ურთიერთობის თვალსაზრისით.

სრული პატივისცემა ჩინეთის დამოუკიდებლობისადმი

მაგრამ თუ ჩვენი მთავრობა თანაუგრძნობს ასეთ დასასრულს, მას [illegible] პრინციპს ჩინეთის მიმართ, ყოველ შემთხვევაში, წარმოადგენს სრული პატივისცემა ჩინეთის ხალხის სუვერენულ უფლებებისადმი და ჩინეთის სახელმწიფოს სუვერენულ ძალაუფლებისადმი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი სახელმწიფო სრულიადაც არ სცდილობს ითამაშოს მფარველის როლი ჩინეთის მიმართ და მხარი დაუჭიროს ერთ რომელიმე ძალას ჩინეთის შიგნივ შინაურ ბრძოლის დროს. ჩინეთის ხალხი არის თავის ბედის ბატონპატრონი და ასეთიც უნდა იყოს,—აი ჩვენი ძირითადი პრინციპი ჩინეთის მიმართ, სწორეთ ისევე, როგორც ყოველ სხვა ხალხის მიმართ ჩვენ სავსებით ვიცავთ ამ პრინციპს.

ჩინეთის ხალხს არასოდეს არ მიუცია ბირკენხედისათვის მანდატი იმის შესახებ, რომ მან გადასწყვიტოს ჩინეთის მართვა-გამგეობის საკითხი. განა ჩინეთი ფორმალურად არის კოლონია და არა დამოუკიდებელი ქვეყანა?.. განა ჩინეთში არ არის საკუთარი მთავრობა? რა საბუთით იღებს ბირკენხედი გადაწყვეტილებას ჩინეთის ხალხის და ჩინეთის მთავრობის სახელით? თავის მამის უფლების აღიარების ხანაში, მამა განაგებდა თავის შვილების ბედიღბალს და იღებდა მათ მაგიერ გადაწყვეტილებებს. რა საბუთით იქცევა ამგვარად ბირკენხედი ჩინეთის ხალხის მიმართ? რას იტყოდა ბირკენხედი, თუ სხვა მთავრობის რომელიმე წევრი ასევე განაგებდეს ინგლისის ბედს? ჩინეთის ხალხს აქვს უფლება თვითონ განაგოს თავისი ბედი. თუ მას სურს ასე თუ ისე ჩამოაყალიბოს თავისი პოლიტიკური ან ეკონომიური ურთიერთობა, ეს მისი საქმეა. ჩინეთის ხალხის ბედს უნდა განაგებდეს მხოლოდ თვით ჩინეთის ხალხი.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა ინტერნაციონალისტები ვართ

არა ნაკლებ უაზრო, ვიდრე ჩვენი ბრალდება ჩინეთში ქაოსის შექმნაში, არის მეორე ბრალდება იმაში, თითქოს ჩვენი მთავრობა, ან ჩვენი აგენტები სცდილობენ განავითარონ მოძრაობა ჩინეთში ყველა უცხოელების წინააღმდეგ საერთოდ. იმ პარტიის ინტერნაციონალისტური პროგრამა, რომელიც ჩვენში ხელისუფლების სათავეში სდგას, არის საკმარისი თავდები იმისა, რომ ჩვენი მთავრობა ან მისი აგენტები არასოდეს არ დაისახავენ მიზნად აღძრან ერთ ხალხში სიძულვილი სხვა ხალხთა მიმართ. ჩვენ, პირიქით, თანაგრძნობით უცქერით ჩინეთში პროგრესიულ და საწარმოო ძალთა განვითარებას და ჩინეთის ხალხის მჭიდრო კავშირს ყველა სხვა ხალხებთან.

საბჭოთა კავშირი სცდილობს ინგლისთან მშვიდობიანობის დამყარებას

ბირკენხედი კიდევ შორს მიდის და ბრალს სდებს ჩვენს მთავრობას იმაში, რომ ის თითქოს სცდილობს ინგლისის იმპერიის დანგრევას, რომ ის თითქოს ყველგან ხელს უწყობს მოძრაობას, რომელიც გამანადგურებელია მთელი კაცობრიობისათვის. რატომ ავიწყდება ბირკენხედს, რომ დღიდან ინგლისთან ფაქტიურ ურთიერთობის დაჭერისა ჩვენი მთავრობა მუდამ წინადადებას აძლევდა ინგლის მთავრობას განეხილათ ყველა სადაო საკითხები იმ მიზნით, რათა გამომუშავებულიყო შეთანხმება ორივე ქვეყნის ინტერესების მიხედვით. შარშან უკვე იყო დამყარებული შეთანხმება ზოგიერთ ყველაზე სადაო საკითხების გარშემო. ბირკენხედს არ შეუძლია [illegible] ვინმეს, გარდა საკუთარი მთავრობისა, იმაში, რომ ეს ცდა არაფრით არ დამთავრებულა. ინგლისის დღევანდელ მთავრობის მიერ ამ შეთანხმების გაუქმების შემდეგ ბირკენხედი და სხვები სცდილობენ მიაწერონ ჩვენს მთავრობას რაღაც აგრესიული ზრახვები მშვიდობიან ურთიერთობის დროს. ჩვენი მთავრობა ვითომდა სცდილობს ინგლისის იმპერიის დანგრევას, მაგრამ დეე მოიგონოს ბირკენხედმა არა მარტო ის, რომ ჩვენი მთავრობა იყო ინგლისთან შეთანხმების დამყარების ინიციატორი, არამედ ისიც, რომ ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ცდა გამომდინარეობს სწორედ დიდი სახელმწიფოების წრიდან.

მხოლოდ საბჭოთა კავშირი ილტვის საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ.

საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დღითი დღე მტკიცდება, არის შედეგი იმისა, რომ ჩვენი მთავრობა ცხოვრებაში ატარებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელსაც ჩვენ ყველაზე მეტათ ვანხორციელებთ ჩვენს საკუთარ სახელმწიფოში. ყოველ შემთხვევაში, შეთანხმება ინგლისთან უკვე მყარდებოდა, და იგი ჩვენ მიერ არ ყოფილა ჩაშლილი.

მე არა ერთხელ განმიცხადებია, რომ ჩვენი სახელმწიფო მზადაა შეუთანხმდეს ყოველ სახელმწიფოს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების და მსოფლიოს ურთიერთობათა მოწესრიგების მიზნით. ეს საუკეთესოთ აბათილებს იმ სიყალბეს და ცილისწამებას ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია ჩინეთის ამბებთან და რომელიც ამ ჟამად გავრცელებულია უცხოეთის პრესის მნიშვნელოვან ნაწილში“.

ინგლისი და საბჭოთა საქართველო

ჩემბერლენი სცნობს საბჭოთა საქართველოს

ლონდონი, 1 ივლისი პარლამენტის წევრმა კონსერვატორმა ბრაიანტმა შეკითხვა მისცა ჩემბერლენს თემთა პალატაში, იცნო თუ არა ინგლისის მთავრობამ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში და თუ იცნო, მაშინ რა საბუთით შეიძლებოდა ამ ცნობის. უკანვე წაღება, რამდენადაც ინგლისმა და ბევრმა სხვა ქვეყნებმაც იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წელს.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ საქართველოს რესპუბლიკა ცნობილია როგორც შემადგენელი ნაწილი ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკისა, რომელიც თვითონ საბჭოთა კავშირის წევრია.

რა ესიზმრებათ კონსერვატორებს

ლონდონი, 1 ივლისი. „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მეტად გამწვავდა და შესაძლებელია დამთავრდეს დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით. კორესპონდენტის აზრით უთანხმოების უშუალო მიზეზად შეიძლება გახდეს მინისტრების—ბირკენხედის და ხოგგის გამოსვლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ჩინეთში და სხვა ქვეყნებში დაწყებული მღელვარება ბოლშევიკურ აგიტაციის შედეგი არისო.

შემდეგ კორესპონდეტი სწერს, თითქოს მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ რაკოვსკის ჩამოსვლასთან დაკავშირებულია ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების ახალი ცდა.

უსაქმო ხალხის ჩხირკედელაობა.

ლონდონი, 1 ივლისი. კონსერვატორმა დედიგომ შეკითხვა მისცა ჩემბერლენს, გამოიძია თუ არა ჩემბერლენმა საბჭოთა სტუდენტების მიერ პოპლარში გამართულ კრებაზე დასწრების საქმე.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ როგორც მას აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ამ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო ხასიათის კრებას, რომლის შესახებ პოლიციას არ მიეპოვებოდა არავითარი ცნობა, ამიტომ მას არ შეეძლო არავითარი ზომების მიღება ამ საქმის გამო.

ერთი „ახალი დოკუმენტი“.

პარიზი, 1 ივლისი. „მატენი“ ათავსებს დოკუმენტის ტექსტს, რომელიც ვითომდა დაწერილია რ. კ. პ. პოლიტბიუროს მიერ. გაზეთის სიტყვით, ეს დოკუმენტი „ამტკიცებს ჩინეთის საქმეებში საბჭოთა მთავრობის უშუალო ჩარევას ფინანსიური დახმარების სახით“. გაზეთის განცხადებით, დოკუმენტის ორიგინალი ვითომდა ინახება საბჭოთა საკონსულოს საელჩოში შანხაიში.

კიდევ ერთი ყალბი დოკუმენტი

საბჭოთა „ნავთის სინდიკატის“ დოსერის გასამართლება

პეკინი, 1 ივლისი. დაიწყო დაპატიმრებულ საბჭოთა კავშირის „ნავთის სინდიკატ“-ის წარმომადგენლის დოსერის გასამართლება.

აქვეყნებენ პოლიციის მიერ შეთხზულ და აბრეშუმის ქსოვილზე დაბეჭდილ მოწმობას: რომელიც ვითომდა დოსერის წიგნებს შორის აღმოაჩინეს:

მოწმობა № 48.

ამის წარმომდგენი დოსერი, რ. კ. პ. პარტიული ბილეთი № 493, ჩინეთის სამხრეთის რაიონის სააგიტაციო განყოფილების მიერ იგზავნება გონკონგში და კანტონში გაფიცვის კომიტეტების მოსაწყობათ. რუსეთის კომპარტიის ყველა წევრები მოვალენი არიან აღმოუჩინონ მას ყოველგვარი დახმარება დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში, რასაც ამოწმებს რუსეთის კომპარტიის სააგიტაციო განყოფილება შანხაიში“.

ამ ყალბი საბუთის წარმოდგენის შემდეგ პოლიციამ მოითხოვა უსასტიკესი ზომების მიღება დოსერის წინააღმდეგ და მისი დაუყოვნებლივ დაპატიმრება.

შერეულმა სასამართლომ დაადგინა დოსერი მოთავსებული იქნეს ციხეში. ახალი ბრალდების თანახმად დოსერს მოელის ათი წლით ციხეში დამწყვდევა ან და სიკვდილით დასჯა.

საბჭოთა იურისკონსულტი ფიშერი ენერგიულად სცდილობდა დაემტკიცებია წარმოდგენილი დოკუმენტის სიყალბე. ფიშერმა აღნიშნა, რომ პროცესი დოსერის წინააღმდეგ აღძრულია დაინტერესებულ ნავთის მრეწველების მიერ.

საფრანგეთის მემარჯვენე პრესის ყბედობა

პარიზი, 1 ივლისი წერილში, რომელიც ეხება საგარანტიო ხელშეკრულებას, „ტან“-ი ეკითხება საბჭოთა კავშირის მთავრობას, ფიქრობს თუ არა ის სისწორით გამოარკვიოს თავისი ხაზი საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

გაზეთი ამბობს: „საბჭოთა კავშირმა უნდა გადასწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა ის მხარის დაჭერას ბოროტი ორგანიზაციისათვის—კომინტერნისათვის, თუ თავს შეიკავებს რევოლიუციონური პროპაგანდისაგან საზღვარგარეთ, რაც საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ მასთან ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა. მაგრამ, სანამ ჩიჩერინი ზინოვიევის მორჩილებაში იქნება, საბჭოთა კავშირი ვერ დაუბრუნდება ერთა ოჯახს“.

გაზეთი დამტკიცებულათ სთვლის კომინტერნის „შეთანხმებას“ ჩინელ მეამბოხეებთან და იმ დასკვნამდი მიდის, რომ „საბჭოთა კავშირის განკერძოება შედეგია კომუნისტური—ინტერნაციონალური ინტრიგებისა, რომლებიც უნდა შეწყდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ურთიერთობის ჩაშლა საბჭოთა კავშირსა და ევროპის შორის.“

პროლეტარიატის მოღალატეების გზით

საერთ. კოოპერატიული კავშირი კოოპერაციის „ნეიტრალობას“ იცავს

სტოკჰოლმი, 1 ივლისი. 30 ივნისს გაიმართა საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის აღმასკომის წინასწარი კონფერენცია. ბალტიის ქვეყნების დელეგატებმა მოითხოვეს, რათა კავშირმა მომავალში ხელი აღარ მოჰკიდოს პოლიტიკურ საქმეებს. საბჭოთა დელეგატმა ხინჩუკმა განაცხადა, რომ წარმოუდგენელია ეკონომიკა პოლიტიკის გარეშე. კოოპერატიული კავშირის ნეიტრალიტეტი აშორებს მას ფართო მასებისაგან, ამიტომ კავშირი არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობს. კოოპერაციის წინაშე დასმულ ამოცანების შესასრულებლად კოოპერატიული კავშირი მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ერთად საბრძოლველად.

აღმასკომმა არ მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე და გადაიტანა იგი ცენტრალურ კომიტეტის პლენუმში, რომელიც შესდგება ოქტომბერში.

კომუნისტურ პრესაში საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების გამო, ხმების უმრავლესობით, ხინჩუკის ხმის წინააღმდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც გმობს კავშირის წევრების მიერ ასეთ თავდასხმისათვის მხარის დაჭერას.

არ იქნა მიღებული აგრეთვე გადაწყვეტილება კავშირის და პროფკავშირთა ინტერნაციონალებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებათა შესახებ. ამ საკითხის გადაჭრა აგრეთვე გადაეცა ცენტრალურ კომიტეტს.

ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ ჩინეთში

ამერიკა მხარს უჭერს ჩინეთის მთავრობის მოთხოვნილებებს

გენერალი ფინ-იუი-სიანი იმპერიალისტების წინააღმდეგ

დიდი მიტინგი და დემონსტრაცია პეკინში შანხაის ამბების თვის თავზე

კანტონის მთავრობის ნოტა

პეკინი, 1 ივლისი. როგორც კანტონიდან იტყობინებიან, კანტონის მთავრობამ გაუგზავნა საფრანგეთის და ინგლისის კონსულებს ნოტა, რომელშიაც მოითხოვს უცხოელთა უბნებზე ჩინეთის ხელისუფლების გავრცელებას, სროლის დამწყებ პირების დასჯას და უცხოელთა სამხედრო გემების გაყვანას.

მდგომარეობა უცვლელია

პეკინი, 1 ივლისი. კანტონში და გონკონგში მდგომარეობა უცვლელია. ფოსტა და საბაჟო ნაწილობრივ შეუდგენ მუშაობას.

შუამავალნი

პეკინი, 1 ივლისი. ამერიკის და გერმანიის კონსულებმა კანტონში იკისრეს კანტონის მთავრობის წარმომადგენელთა მოწვევა 23 ივნისს მომხდარ ამბების გამომრკვევ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად. იაპონიის პრესის ცნობით ინგლისის კონსული არ დათანხმდა ამ წინადადებაზე.

გლოვის დღე

პეკინი, 1 ივლისი. ოცდაათ ივნისს შესრულდა თვე შანხაიში მომხდარი ამბების შემდეგ. ამ დღეს ჩინეთის ბევრ ქალაქებში შესდგა სამგლოვიარო კრებები და დემონსტრაციები, შეტაკება არსად არ ყოფილა.

შანხაის პროფკავშირების მოთხოვნილებები

პეკინი, 1 ივლისი. შანხაის პროფკავშირების საბჭომ ფეიქარ მუშების კავშირთან ერთად წარუდგინა იაპონიის საფეიქრო წარმოებების მეპატრონეთ შემდეგი მოთხოვნილებები: მიეცეს პროფკავშირებს მუშათა ინტერესების დაცვის უფლება, დაიცვას ისინი, დახოცილ მუშათა ოჯახების უზრუნველყოფა, მუშათა მკვლელ ზედამხედველების დასჯა, სამუშაო ხელფასის გადიდება ოცი პროცენტით, გაფიცვის დროის შრომის ხელფასის მთლიანად გასტუმრება.

პროფკავშირების მოთხოვნილებები ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული.

პროტესტი კანტონში მომხდარ ამბების წინააღმდეგ

პეკინი, 1 ივლისი. თუმცა ვაჭრების გაფიცვა შანხაიში გათავდა, მაინც ბევრი მაღაზიები ჯერ კიდევ არ არის გახსნილი, მათ რიცხვში შედის გონკონგის და კანტონის ყველა ვაჭრების დუქნები, რომელნიც დაკეტილი არის უკანასკნელად კანტონში მომხდარი სისხლის მღვრელი ამბების გამო პროტესტის ნიშნად.

რუსი თეთრგვარდიელები შტრეიკბრეხერების როლში

[illegible], 1 ივლისი. გაფიცულ მეზღვაურთა ნაცვლად ინგლისის კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ რუსი თეთრგვარდიელები.

ამსტერდამის ინტერნაციონალი უარს ამბობს ჩინელთა დახმარებაზე

ამსტერდამი, 1 ივლისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება პროფინტერნის წინადადება ჩინეთის მშრომელთათვის დახმარების მოწყობის შესახებ, შესდგება 17 აგვისტოს.

საერთო აზრით, ამსტერდამის გაერთიანება ამ საკითხის გადაწყვეტაში არ მიიღებს მონაწილეობას, თუმც შესაძლოა სხვა ქვეყნების ცენტრალურ ორგანიზაციებს მისცეს წინადადება, რათა მათ განიხილონ საკითხი. ალბად ამსტერდამის ინტერნაციონალი არ უპასუხებს პროფინტერნის წინადადებაზე.

უცხოელი ძმები დახმარებას აღუთქვამენ ჩინეთის ხალხს.

პეკინი, 1 ივლისი. 20 ივნისს გამართული მასიური მიტინგი შეიქნა ჩინეთის სატახტო ქალაქის მასების მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისად: მას ჰქონდა წმინდა ინტერნაციონალური ხასიათი. ეს ინტერნაციონალური ხასიათი გამოიხატა არა მარტო წარმოთქმულ სიტყვების შინაარსში, არამედ თვით ორატორთა შემადგენლობაშიაც.

ცნობილ ჩინელ ორატორებთან და სტუდენტების, მუშების და გლეხების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად სიტყვები წარმოსთქვეს გერმანულ, ინგლისურ, იაპონურ, კორეისა და ოსმალურ ენებზე ამ ქვეყნების წარმომადგენლები მოუწოდებდენ ჩინეთის ხალხს ბრძოლისაკენ იმპერიალისტების წინააღმდეგ სრულ გამარჯვებამდე და აღუთქვამდენ თავიანთ დახმარებას. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ჩინეთის მთავრობას აწარმოოს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ კანტონის მთავრობასთან ერთად.

საიდუმლოდ ინახავენ

პეკინი, 1 ივლისი. იაპონიის ჟურნალისტებთან საუბრის დროს იაპონიის წარმომადგენელმა ჩინეთში იოშიზავამ განაცხადა, რომ რამოდენიმე ელჩმა უკვე მიიღო ინსტრუქციები თავიანთ მთავრობებისაგან ჩინეთის მთავრობის ნოტის შესახებ რომელიც შეიცავს მოთხოვნილებას გაუქმებულ იქნეს არათანასწორ უფლებიანი ხელშეკრულებანი. იოშიზავამ უარი განაცხადა ამ საკითხის შესახებ უფრო გარკვეული განმარტებების მიცემაზე.

მთლიანი ფრონტი მტაცებლების წინააღმდეგ.

ფინ-იუი-სიანის მოწოდება.

პეკინი, 1 ივლისი. პეკინის მთავრობის ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც თხოულობს გაუქმებულ იქნეს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები, გენერალმა ფინ-იუი-სიანმა მიმართა ცენტრალურ მთავრობას, ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებას, სტუდენტებს, მუშათა კავშირებს და პრესას ცირკულიარი დეპეშით.

დეპეშაში ნათქვამია: **„ჩვენ უნდა ვაიძულოთ უცხოელები გააუქმონ არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები. ჩინეთის ხალხი არის თავისი ქვეყნის პატრონი. როგორ შეგვიძლია ჩვენ ჯარისკაცებს, რომლებიც ვართ მოწოდებული ხალხის სამსახურად, გაჩერდეთ გულზე ხელდაკრეფილი, როცა ჰკლავენ ჩვენს მამებს, დედებს, დებსა და ძმებს? ფიცი დავდე გავაძლიერო ჩემი ჯარი, რათა მივაღწიო ჩვენი აჯანყებული ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ჩვენ არასდროს არ დავიხევთ უკან და ვიბრძოლებთ უკანასკნელ კაცამდე. ჩვენი ხალხი იბრძოლებს ბოლომდე. ჩვენი შინაური უთანხმოებანი დავიწყებული უნდა იქნენ. ჩვენ უნდა გაერთიანებული ფრონტით შევუტიოთ უცხოელ მოძალადეებს.**

ამერიკა იწვევს სახელმწიფოების კონფერენციას.

ვაშინგტონი, 1 ივლისი. სახელმწიფო დეპარტამენტის, ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკა კისრულობს სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევის ინიციატივას იმ საკითხების განსახილველად, რომელიც შეეხება უცხოელების განსაკუთრებულ პრივილეგიებს ჩინეთში. ამერიკა ამასთანავე ემყარება ვაშინგტონის კონფერენციის რეზოლიუციას, რომელიც ითვალისწინებს ამგვარ კონფერენციაზე ბოქსიორთა შეთანხმების მონაწილე ყველა სახელმწიფოების მონაწილეობას. ამავე პირმა აღნიშნა, რომ ამერიკა მხარს უჭერს ჩინეთის მოთხოვნილებებს. ჩინეთის წარმომადგენელი ვაშინგტონში ყოველდღე ეთათბირება სახელმწიფო დეპარტამენტს. ეს განცხადება სავსებით ადასტურებს „ასოშიეიტედ პრესის" ცნობას.

ფაშისტური ტერორი ბალკანეთზე

უნგრეთი

უნგრეთის მუშათა პარტიის დევნა

ვენა, 1 ივლისი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დევნა გაძლიერდა. ბუდაპეშტში პოლიციამ მოახდინა 50 ჩხრეკა პარტიის ლიდერების ბინაზე და პარტიის სამდივნოში. დაპატიმრებულია პარტიის ლიდერი ვაგი და პარტიის 20 გამოჩენილი წევრი, მათ შორის ცეკას წევრიც.

პოლიციის ანგარიშში ნათქვამია, რომ თითქოს უნგრეთის სოციალისტური პარტია წარმოადგენს კომუნისტურ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს რადიკალ ოპოზიციონურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის სახით, თითქოს პარტიის ლიდერებს კავშირი ჰქონდათ უნგრეთელ ემიგრანტებთან მოსკოვში, ვენაში და პარიზში და თითქოს პარტიას მისდიოდა საზღვარგარეთიდან დიდძალი ფული. გაზეთების გაზვიდებელ ცნობებში ნათქვამია, რომ პოლიციაში დაკითხვის დროს პარტიის ლიდერმა ვაგიმ განაცხადა, რომ მას მიზნათ ჰქონდა პროლეტარიატის დიქტატურის აღდგენა. შემდეგ გაზეთები იუწყებიან, რომ ჩხრეკის დროს თითქოს იპოვეს დოკუმენტები, საიდანაც სჩანს, რომ პარტია მიზნათ ისახავდა მთავრობის ჩამოგდებას.

ბულგარეთი

განაჩენი კომკავშირელების საქმეზე

ვენა, 1 ივლისი. ბულგარეთის ქალაქ ვრატცაში დასრულდა კომკავშირელების პროცესი.

სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა გიმნაზიელს დონჩევს სიკვდილით დასჯა, 7 კომკავშირელს—15 წლის ციხე, და ერთს—13 წლით ციხეში დაპატიმრება; დანარჩენ 10 ბრალდებულს მიესაჯათ 6 ნახ. წლით ციხეში დაპატიმრება.

უკანასკნელი ცნობები

„დიდი მთავრის" მადა

პარიზი, 1 ივლისი „პარიზის უწყების" ცნობით, ყოფილმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ და მისმა მომხრეებმა მიიღეს ორ მილიონამდი იენი (იენი 97 კაპ.) ტოკიოში, ეს ფული წარმოადგენდა ნაშთს იმ თანხებისას, რომელიც მეფის მთავრობამ ომის დროს გადაგზავნა იაპონიაში იარაღის შესაძენათ. ეს თანხა გადაეცა თეთრგვარდიელთა სამხედრო მისიის ყოფ. უფროსს გენ. პოტიაგინს, იაპონიის სასამართლოს დადგენილებით.

ახალი მთავრობა საბერძნეთში

ვენა, 1 ივლისი. საბერძნეთის ეროვნულმა კრებამ 185 ხმით 14 წინააღმდეგ (თავი შეიკავა 49) ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

ინგლისი და ამერიკა ვალებს თხოვენ საფრანგეთს

პარიზი, 1 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ჩემბერლენმა საფრანგეთის ელჩს ლონდონში გადასცა ნოტა, რომელშიც მოითხოვს, რომ საფრანგეთმა გამოსთქვას თავისი აზრი მოკავშირეთა ვალების მოწესრიგების შესახებ.

საფრანგეთის ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრებს დაევალა დაიწყოს მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ. საფრანგეთის მთავრობა ამერიკაში, გზავნის კომისიას ვალების საკითხის მოსაწესრიგებლად.

სეტყვა საქართველოში

გორი. 2 ივლისი. 1-ლ ივლისს მეჯვრისხევის რაიონში მოვიდა დიდი სეტყვა, რომელმაც გაანადგურა დაახლოებით მოსავლის სამი მეოთხედი.

თელავი. 2 ივლისი. გუშინ საღამოს წინანდლის რაიონში მოვიდა დიდი სეტყვა, ქროდა ძლიერი ქარი, განადგურებულია ნათესები და ვენახები სოფლებში: წინანდალი, კოდალო, ქვემოხოდაშენი, ვაჩნაძიანი და სხვ. გაფუჭებულია ასეული დესეტინა ნათესი. სახელმწიფო მამულები ნაკლებ დაზარალდენ მამხალების წყალობით. ზოგ ადგილებში ქარმა ძირიანად ამოგლიჯა კაკლის ხეები.

კლასობრივი ბრძოლა ინგლისში

კაპიტალისტებმა ომი გამოაცხადეს

ლონდონი, 1 ივლისი. შეთანხმების ვადის გათავების შესახებ ცნობასთან ერთად, მაღაროების მეპატრონეებმა გაუგზავნეს სამთო-მადნო მუშების ფედერაციას წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო პრესაში. წერილში ნათქვამია: „მაღაროების მეპატრონეები მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ ინგლისის სამთო-მადნო მუშების ფედერაცია არ ეთანხმება იმას, რომ სამთომადნო მრეწველობის მდგომარეობა მოითხოვს სამუშაო ხელფასის და მუშაობის პირობების საკითხის მოწესრიგებას".

ფედერაციის თავმჯდომარემ კუკმა განაცხადა, რომ ამ წერილის გამოქვეყნება პრესაში, სანამდი მას განიხილავდა სამთომადნო მუშების ფედერაცია, ნიშნავს ომის გამოცხადებას მწარმოებლების მიერ.

ინდოეთის რკინისგზის მუშების დასახმარებლად

ლონდონი, 1 ივლისი. ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ გადასდო თანხა ინდოეთის რკინისგზის გაფიცული მუშების დასახმარებლად.

მთავრობის კრიზისი საბერძნეთში

ვენა, 1 ივლისი. გადატრიალებისათვის, რომელიც მემარცხენე რესპუბლიკანელმა აფიცრებმა მოახდინეს საბერძნეთში, არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია; ამის მიზეზია საბერძნეთის საზოგადოებრიობის უკმაყოფილება მთავრობის დამარცხებით საგარეო პოლიტიკაში.

მემარჯვენე პარტიების ლიდერები უარყოფითად უცქერიან პანგალოსის მთავრობას. გამოქვეყნებულ მოწოდებაში ისინი აცხადებენ, რომ ხმას მისცემენ მთავრობის წინააღმდეგ. თუ პანგალოსი ხმების უმრავლესობას არ მიიღებს პარლამენტში, მოსალოდნელია ან პარლამენტის დათხოვნა, ან დიქტატურის დამყარება.

ომი მაროკოში

რას მოითხოვს ესპანეთი

ლონდონი, 1 ივლისი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება: აფრიკელ მცხოვრებთაგან შემდგარ ესპანიის ჯარების ტანჟერში შეჭრის გამო—ლონდონს, პარიზსა და მადრიდს შორის უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ხდება დიპლომატიურ ხასიათის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ესპანეთი მოითხოვს უფლებას, რომ აჯანყებული რიფები სდევნოს მათ საზღვარს იქით. ინგლისის მთავრობა კი წინააღმდეგია ამის.

პარიზი, 1 ივლისი. სოციალისტური ორგანიზაციების სენის დეპარტამენტის საოლქო საბჭომ სოციალისტური პარტიების მრავალ სექციათა მიერ ომის წინააღმდეგ პროტესტის განცხადების გამო, განიხილა მაროკოს საკითხი.

ბლიუმმა განაცხადა, რომ კომუნისტური პროპაგანდამ ხელი შეუწყო სამხედრო მოქმედების გაგრძელებას მაროკოში და რაც კომინტერნმა წააგო ევროპაში, ეხლა სურს აინაზღაუროს აზიაში და აფრიკაში". შემდეგ ბლიუმმა აღნიშნა, რომ სოციალისტური პარტია თხოულობს მთავრობისაგან აბ-დელ-ქერიმთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას.

მემარცხენე ფრთის სახელით სოციალისტური დეპუტატების საქციელის კრიტიკით გამოვიდა ჟირომსკი და შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მწუხარებაა გამოთქმული, რომ სოციალისტურმა ფრაქცია ვერ გამოვიდა პარლამენტში თავის საკუთარი პროგრამით კოლონიალური პოლიტიკის საკითხებზე. რეზოლიუციას მიემხრო დიდი უმრავლესობა.

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა

სენატმა მიიღო ივლისის ბიუჯეტი

პარიზი, 1 ივლისი. 284 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ ერთი ხმისა სენატმა მიიღო ივლისის ბიუჯეტი.

საფინანსო კომისიის მომხსენებელმა ბერანჟემ თავის სიტყვაში საგანგებოთ აღნიშნა ის გარემოება, რომ საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც 1920 წელში უდრიდა 20 მილიარდ ფრანკს, წარსულ წელს დავიდა 3 ნახ. მილიარდამდე. ამგვარათ ჩვენ მივდივართ დეფიციტის სრული მოსპობისაკენ.

ბერანჟემ აღნიშნა: გერმანია რომ [illegible] იხდიდეს გადასახადებს, მაშინ 1924 წელში დეფიციტის სანაცვლოდ ჩვენ გვექნებოდა ზედმეტი 3.600.000.000 ფრანკიო.

უჯარო გენერლების თათბირი

პარიზი, 1 ივლისი. „პარიზის ვესტნიკის" ცნობით ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით გაიმართა დიდი სამხედრო საბჭოს სხდომა მრავალ თეთრ გენერლების და მათ შორის დენიკინის, ვრანგელის, ლუკომსკის და კუტეპოვის მონაწილეობით. თათბირის მიზანია—საზღვარ-გარეთ არსებულ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების სამხედრო შტაბის შექმნა და ყველა მონარქისტულ ორგანიზაციების გაერთიანება კირილეს, როგორც „ტახტის მემკვიდრის" მეთაურობით. შემდეგ სახეში აქვთ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დანიშვნა მთავარსარდლათ, ხოლო კოკოვცევის—მონარქისტულ მოძრაობის პოლიტიკურ ხელმძღვანელათ.

წყალდიდობა პოლონეთში

ვარშავა. 1 ივლისი. მდინარეების ადიდება გრძელდება და ვრცელდება სულ ახალ-ახალ ტერიტორიაზე. კრაკოვში წყლით დაფარულია ქალაქის ზოგიერთი ადგილები პრემიშლში წყალით იფარება ქალაქი. სტანისლავოვოში წყლით დაფარულია მიდამოები. წყალდიდობა ემუქრება აგრეთვე ვარშავის ბევრ მიდამოებს, ბორისლავს და სხვა სამრეწველო პუნქტებს.

წინასწარ ცნობებით წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი გამოანგარიშებულია 100 მილიონ ოქროს მანეთათ. სეიმში გაიმართა წყალდიდობისაგან დაზარალებულ ადგილების დეპუტატთა თათბირი პრემიერ გრაბსკის მონაწილეობით დეპუტატებმა მოითხოვეს 10 მილიონი ოქროს გადადება.

დეპუტატების ცნობით დაზარალებულია 200.000 [illegible]

საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

დელეგაცია ზაჰესში

გუშინ, დილის 9 საათზე, საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაცია სრული შემადგენლობით და ადგილობრივი პროფმუშაკების თანხლებით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დასათვალიერებლათ.

დელეგაციამ დაათვალიერა სადგურის ასაგებათ წარმოებულ სამუშაოების პირველი უბანი: დაათვალიერა განათხარი, მთავარი ჯებირის და აუზის მოსაწყობათ წარმოებული სამუშაოები და სხვა ადგილები.

დელეგაციას ახსნა-განმარტებას აძლევდენ სამუშაოების ხელმძღვანელები.

დელეგატებს აინტერესებდათ საკითხები, თუ როდის დაიწყო სადგურის აგება, როდის დამთავრდება, რა დაჯდება სადგური, რამდენი მუშა მუშაობს, როგორია მათი შრომის პირობები და ხელფასი და სხვა.

ყველა ამ კითხვებზე მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს, რითაც ისინი მეტად ნასიამოვნები დარჩენ.

სადგურის დათვალიერებამ დელეგატებზე ძლიერ შთაბეჭდილება მოახდინა.

მუშებთან მეგობრული გამოსაუბრების შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა სოფელ დიღომში, სადაც მას განზრახვა ჰქონდა გაცნობოდა ადგილობრივ გლეხებს.

დიღომში

გზაზე დელეგატები ეკითხებოდენ მხლებელ ამხანაგებს, თუ როგორია საერთოდ ქართველი გლეხების მდგომარეობა, რამდენათ ჩაბმული არიან ისინი საერთო აღმშენებლობაში და როგორ უყურებენ ეხლანდელ წესწყობილებას, რაზედაც მათ ამომწურავ პასუხს აძლევდენ ადგილობრივი პროფმუშაკები.

დიღომში დელეგატებმა დაათვალიერეს გლეხების საცხოვრებელი ბინები, გამოესაუბრენ ზოგიერთ გლეხებს მათი მდგომარეობის შესახებ; ეკითხებოდენ მათ, თუ რამდენათ უზრუნველყოფილი არიან მიწებით, რამდენ მოსავალს იღებენ და სხვა.

გლეხებიც თარჯიმანის საშუალებით უხსნიდენ უცხო სტუმრებს თავის მდგომარეობას.

დელეგაციას განზრახვა ჰქონდა დაეთვალიერებია აგრეთვე მცხეთის დასასვენებელი სახლები, მაგრამ დროის უქონლობის გამო იგი იძულებული იყო დაბრუნებულიყო თბილისში.

სასტუმროში დაბრუნებისას დელეგაციამ ადგილობრივ პროფმუშაკებთან ერთად გადაიღო სურათი, რის შემდეგაც იგი მიწვეული იქნა გამოსათხოვარ სადილზე.

დღის 3 საათზე 25 წუთზე დელეგაცია გაემგზავრა ბაქოში, საიდანაც დაბრუნდება მოსკოვში.

გამგზავრების წინ

(დელეგატების შთაბეჭდილებანი საქართველოდან)

გამგზავრების წინ საფრანგეთ-ბელგიის მუშათა დელეგაციის წევრებმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს გაუზიარეს თავისი შთაბეჭდილებანი საქართველოში მათ მიერ ნახულის და გაგონილის შესახებ.

ამხ. პეტერსი

ჩვენი საქართველოში მოგზაურობა განაცხადა ლიეჟელმა მელითონემ—პეტერსმა, **დაგვირგვინება იყო იმ დიდი ღრმა განცდების, რომელიც ჩვენ წილად გვხვდა საბჭოთა კავშირის გაუზომელ ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს. ჩვენ ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ ნახევრად მაინც ვაგრძნობინეთ ჩვენს თანამემამულეებს სიძლიერე და სიდიადე მშრომელთა სახელმწიფოსი, რომელმაც დაიპყრო ჩვენი გრძნობა და გონება არა თავისი განვითარებულ ტეხნიკით, არამედ თავისი მოქალაქეების ურყევი რწმენით, მომავლის იმედით და ბრძოლის წყურვილით.**

ამხ. ლე-კრენიე.

— დაუვიწყარი დარჩება ჩემს მეხსიერებაში,—სთქვა მოხუცმა ლიეჟელმა მემაღაროემ ლე-კრენიემ,—საქართველო და ქართველი მუშები. **ის, ვინც გადახრევია ბრძოლას, დაჰკარგვია მომავლის იმედი და შეგუებია ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას, უნდა მოვიდეს ამ მშვენიერ ქვეყანაში, რომელიც კვლავ გააღვივებს მის არსებაში რევოლიუციონურ ცეცხლს, გარდაქმნის მას ახალი ქვეყნის ადამიანად.** ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მოგვეცა საშუალება ერთი ფიცარი მაინც მოვიტანოთ იმ ხიდის გასამართებლად, რომელიც გააერთიანებს ამ უდიდესი პროლეტარული სახელმწიფოს სახელოვან მშრომელებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან.

ამხ. სენისსი.

— თქვენი ლამაზი ქვეყანა,—ამბობს აღტაცებით ბორდოელი ლიტოგრაფი სენისი, როგორც გადმომცეს არის სასწაულ მოქმედი აგარაკი, რომელიც ჰკურნავს ათასგვარ ავადმყოფობას. მე მგონია საქართველო თავის არა მარტო საღი ჰავით, წარმტაცი ბუნებით, ზურმუხტი ველებით და ქვამორეული ჩანჩქერებით აჯანსაღებს დაძაბუნებულს ადამიანს, საქართველო თავისი მშრომელი მოსახლეობის შრომის მოყვარეობით, გულმოდგინეობით, საქმის სიყვარულით და რევოლიუციონური გატაცებით მხნეობას და გაბედულებას აძლევს მათ, ვისაც დაუყრია ბრძოლის იარაღი და დანებებია მტერს. **ჩვენ სამშობლოში ვბრუნდებით სრული განახლებულნი და ბრძოლისთვის გამზადებულნი.**

ამხ. ხონი

— თქვენ მეკითხებით, რა მომეწონა მე საქართველოში?—შემეკითხა ხონი,—ძნელია ყველაფერი მისი ჩამოთვლა. რაც ჩვენ მოგვწონს. მაგრამ მაინც ვიტყვით რაკი გაინტერესებთ.

მე მომეწონა აქაური მუშის საკუთარი ღირსების შეგნება, მომეწონა მისი პირდაპირობა და მუშაობის ხალისი. მომხიბლა აქაური მუშის ამხანაგობამ და სოლიდარობის გრძნობამ, რომელიც ბოლოს და ბოლოს თავისას იზამს და ანდამატივით მოიზიდავს ყველა ქვეყნის მშრომელთ. მომეწონა აქაური მუშების პატიოსანი და სინდისიერი შრომა იმ შეგნებით, რომ შრომობენ არა სხვებისათვის,—არამედ თავიანთი ქვეყნისათვის, იმ სახელმწიფოს განსამტკიცებლად, რომელსაც მაღლა უჭირავს დროშა მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების. **ჩვენ მივდივართ და თან მიგვყვება მშრომელთა დიდი კავშირის სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ჩვენ გაუზიარებთ და გადავცემთ ჯერ კიდევ კაპიტალის მონობის ქვეშ მყოფ ჩვენს მოძმეებს.**

ამხ. ჟიპულუ.

— თუ თავის ქართველი ამხანაგების ჩაგონებით ამბობს მელითონე ჟიპულუ რენოდელი კიდევ გვეტყვის ჩვენ ფრანგ მუშებს, რომ საქართველო უცხოელების მიერ დაპყრობილი და განადგურებულიაო, ჩვენ უპასუხებთ თუ ის დიდი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობა, რომელიც ჩვენი თვალით ვნახეთ, ერის დაღუპვას და განადგურებას ნიშნავს, ქართველი ხალხი მართლაც გაუბედურებული ყოფილა, კომუნისტები კიდევ ხალხის დაუნდობელი მჩაგვრელნი და მტარვალნი. [illegible] მდგომარეობა-სინამდვილე და [illegible].

ჩვენ ნებას არ მივსცემთ ბ-ნ რენოდელებს ისარგებლონ საბჭოთა კავშირიდან სწორი ცნობების მიუღებლობით, და მომავალშიდაც საქართველოზედაც ავრცელონ ყოველგვარ შეუსაბამო და უმგზავსო ცნობები. ჩვენ ვეტყვით საქართველოზე ჭეშმარიტებას, რომელიც გზას გაიკაფავს მუშათა ფართე მასებისაკენ.

ამხ. ტეილიარი.

— აბა, თქვენ რას გვეტყვით ამხანაგო ტეილიარ, გამგზავრების წინ—მივმართე პარიზელ დურგალს.—მე სავსებით გამიმართლდა ის შეხედულება, რომელიც საბჭოთა კავშირზე მქონდა. მე აქ ვნახე მშრომელთა ნამდვილი დიქტატურა სწორეთ იმ სახით, როგორც გვასწავლიდენ ჩვენი ფრანგი ამხანაგები. ხელისუფლება აქ შესისხლხორცებულია ხალხთან, ხალხი განუყრელ კავშირშია ხელისუფლებასთან. ასეთი შედუღება ხელისუფლების მშრომელთა მასასთან—შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა სისტემის დროს. **მე ვარ პარიზელი მუშა, მაგრამ მე მგონია ჩემი სამშობლო საბჭოთა კავშირი უფროა, ვიდრე ბურჟუაზიული საფრანგეთი.**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, როგორც მთელი ქვეყნის მშრომელთა მშობლიურ ქვეყანას, გაუმარჯოს მის ბრძოლას მთელი ქვეყნის გასაბჭოებისათვის.

დასასრულ ყველა დელეგატებმა მოითხოვეს ჩვენი გაზეთის საშუალებით გადავსცე ქართველ მშრომელ ხალხს მათი გულწრფელი მადლობა ძმური მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ი—ნი.

დელეგაციის გამგზავრება

გუშინ, ნაშუადღევის 3 ს. და 40 წუთზე. საფრანგეთ-ბელგიის დელეგაცია გაემგზავრა ბაქოსკენ, საიდანაც შემდეგ დაბრუნდება მოსკოვში.

გამგზავრების დროს დელეგაციას სადგურის წინ შეეგებენ მთავარ სახელოსნოს მუშები ორი ორკესტრით.

სალაპარაკოთ გამოსული ორატორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდენ დელეგაციის საქართველოში მოსვლას, რომლის შესახებაც კაპიტალისტური პრესა ათასგვარ ჭორებს ავრცელებს მთელს ევროპაში.

გამომშვიდობებისას რკინის-გზელი მუშები გამოსთქვამდენ იმედს, რომ დელეგაციის წევრები მის დაბრუნებისას უამბობენ იქაურ მუშებს სრულ ჭეშმარიტებას საბჭოთა კავშირის შესახებ, რითაც უფრო განამტკიცებენ მუშათა მოძრაობის გაერთიანების იდეას.

გამოსასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პროფკავშირის თავმჯდომარემ ამხ. ყურულაშვილმა და პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ქელიძემ.

დელეგაციის სახელით გამოსასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს ერთმა ფრანგმა და ერთმა ბელგიელმა მუშამ. იმათ აღუთქვეს, თბილისელ მუშებს, რომ მოსვლისთანავე თავიანთ ქვეყნის მუშებს გააცნობენ სინამდვილეს საბჭოთა კავშირის შესახებ.

დელეგაციის მატარებელი გააცილა ორი წყება ორკესტრის „ინტერნაციონალმა" და ხალხის „ვაშას" შეძახილმა.

გაცილებას დაესწრო რუსეთის პროფკავშირების პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩანსკიც.

რა ხდება უცხოეთში.

უცხოეთის იმპერიალისტები ჩინეთში

„ვიხოცებით დაგვეხმარეთ"

ქვემოთ მოგვყავს ცინდაოში ქარხანა „ტა კონ"-ის გაფიცულ ჩინელ ფეიქართა მოწოდება, რომელშიც ნათელ წარმოდგენაა იძლევა იმ მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ჩინელი ფეიქრები იმყოფებიან:

„ჩვენ ფეიქრები ყოველდღიურათ, 12 საათზე მეტს ვმუშაობთ და ამისათვის ვიღებთ 10 ცენტამდე (10 კ.) იაპონელი მწარმოებლები შეურაცხგვყოფენ, სისტემატიურად გვცემენ და გვიწოდებენ მონებს „რომლებსაც სამშობლო არა აქვს". დღიურათ, რომ სიმშილით არ მოკვდეს, საჭიროა სულ ცოტა 20 ცენტი მაინც. როგორ უნდა ვიარსებოთ ჩვენ? ბავშვები და დიდები დღეში ცამეტ საათს მუშაობენ და მათ ყოველ წუთს მოელის იაპონელებისაგან ცემა, ლანძღვა-გინება და ზოგჯერ დახვრეტაც.

სიტყვით შეუძლებელია ჩვენი საშინელი მდგომარეობის აღწერა. ჩვენ თითქო უდედოთ დარჩენილი ბავშვები ვართ და ვინ დაგვიცავს ჩვენ იაპონელ მწარმოებლების ძალმომრეობისაგან, თუ ჩვენ თვითონ არ მივიღეთ სამისო ზომები? ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ კავშირის მოწყობა, რომ დავეხმარებოდით ერთმანეთს: „ღარიბი ღარიბისათვის". მაგრამ, როგორც კი იაპონელებმა გაიგეს ამის შესახებ **რევოლვერებით შემოიჭრნენ ჩვენს ბინებში, გვცემეს, აგვაწიოკეს და დაგვიპატიმრეს სამი ამხანაგი, რომლებიც საშინლათ აწამეს.** იაპონელები დაკითხვის დროს დასცინიან მათ. ეუბნებიან: „თქვენ მონები ხართ, აბა რა კავშირი უნდა მოაწყოთ თქვენ"-ო.

მოქალაქენო; ცინდაო ჩინეთის ტერიტორიას შეადგენს. ჩვენც, მუშებიც, ჩინეთის მოქალაქეები ვართ გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება მოვაწყოთ კავშირები? რა უფლება აქვთ იაპონელებს შემოიჭრენ ჩვენს ბინებში, გაგვჩხრეკონ, აგვაწიოკონ, გვცემონ, გვაწამონ? ეს ეროვნული სირცხვილია! ჩვენ მაინც მოვაწყობთ კავშირს და ვიბრძოლებთ!

სიკვდილი ან გამარჯვება!

მოქალაქენო! აჯანყდით! დაგვეხმარეთ ჩვენ! ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგების მუშები სიმშილით იხოცებიან. ასეთი ბედი მოგველის ჩვენც.

დაგვეხმარეთ! დაგვეხმარეთ!

ცინდაოს საფეიქრო ქარხნის „ტა კონ"-ის მუშები.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

იტალიის მეზღვაურები—ლენინგრადელ მსახიობებს

ლენინგრადი, 2 ივლისი. აკადემიურ თეატრების დირექციამ იტალიის ფლოტის უფროსისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: **„საუცხოვო საღამო, რომელიც თქვენ გამართეთ იტალიელ მეზღვაურების პატივსაცემად, დარჩება საუკეთესო მოგონებათ ამ ქალაქებში ჩვენი ყოფნის შესახებ. გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა და მეზღვაურების მადლობა და გადაეცით იგი მსახიობებს. უგზავნი მსახიობებს სახსოვრად გემის ემბლემას".**

ამხ. კურცი გერმანიაში მოგზაურობის შესახებ

პოკროვსკი. 2 ივლისი. ვოლგის მხარის გერმანელების რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კურცი დაბრუნდა გერმანიიდან ოთხი თვის შემდეგ.

კურცის სიტყვით გერმანიის საზოგადოებაში იზრდება ინტერესი გერმანელების რესპუბლიკის მიმართ.

კურცმა გააკეთა რამდენიმე მოხსენება გერმანელების რესპუბლიკის შესახებ ბერლინში და ჰამბურგში. მისი ინიციატივით დაარსდა ვოლგის მხარის გერმანელთა რესპუბლიკასთან კულტურულ კავშირის კომიტეტი ამასთან ერთად, გერმანულ ახალშენების გერმანიაში ანაძრების საკითხში მან მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს.

გადაფრენა მოსკოვ-ჩინეთი

ირკუტსკი. 2 ივლისი. ორ ივლისს მთელი შემადგენლობით ექსპედიცია გაფრინდა ურგაში, მაგრამ ორი აეროპლანი „პრავდა" და „კრასნი კამვოლჩიკ" ავდრის გამო დაბრუნდა უკან ირკუტსკში, დანარჩენები კი გავიდნენ დანიშნულ მარშრუტზე.

გერმანელ ფაშისტ სტუდენტების საქმე

წინასწარი გამოძიების ცნობები.

მოსკოვი, 1 ივლისი. ბრალმდებელი კრილენკო კითხულობს ბაუმანის ჩვენებას წინასწარ გამოძიებაზე. ბაუმანი ადასტურებს თავის ჩვენებას, განსაკუთრებით კი იმ ადგილს, სადაც ვოლშტი აღიარებს, რომ რატენაუს მკვლელი—განტერი იმალებოდა მასთან. ბრალდებული ვოლშტი კი სავსებით უარს ამბობს თავის წინასწარ ჩვენებაზე. შემდეგ აქვეყნებენ ექსპერტიზის ოქმს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბრალდებულთა დაპატიმრების დროს წართმეული ფლაკონები სავსე იყო ციან-კალით და სხვა საწამლავით.

კომინტერნის მდივნის ჩვენება.

30 ივნისს, დილის სხდომაზე ჩვენებას იძლევა კომინტერნის მდივანი ამხ. დროჩმანი. ის ამბობს შემდეგს: „ჩემ მოვალეობას შეადგენდა უცხო ქვეყნებიდან მოსულ კომუნისტების მიღება და მათი პარტიულობის გამოკვლევა. დიტმარი, ვოლშტი და კინდერმანიც ჩემთან იყვნენ გამოგზავნილი როგორც გერმანელი კომუნისტები—მეცნიერული მიზნით აქ ჩამოსულნი. ბრალდებულების ქცევა და იერი მე ძალიან საეჭვოთ მეჩვენა: გულდასმით კითხულობდენ კომპარტიის შინაურ წყობილებას. საგანგებოთ სცდილობდენ ბელადებთან დაახლოვებას და სხვა". დიტმარი და ვოლშტი ადასტურებენ ამხ. დროჩმანის ჩვენებას.

პროლეტ.-სტუდენტების ცენტ. ბიუროს წევრის ჩვენება.

ამხ. კაგორი მოუთხრობს სასამართლოს, რომ 14 ოქტომბერს განათლების კომისარიატში მოვიდენ ბრალდებულნი და გამოთქვეს სურვილი გაეცნონ როგორც სტუდენტთა ორგანიზაციებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებს. სტუმრები დიდი პატივისცემით იქნენ მიღებული. შემდეგ ბრალდებულნი დაჟინებით სცდილობდენ გაეგოთ—სად ცხოვრობენ ამხ. ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი, სტალინი და სხვა ბელადები და კითხულობდენ, თუ როგორ შეიძლება მათთან შეხვედრა.

ამხ. კუპრიანოვიც იძლევა ასეთივე ჩვენებას ბრალდებულების შესახებ.

განათ. კომის. წარმომადგენელთა დაკითხვა.

შემდეგ კითხულობენ წერილობითი ჩვენებას ამხ. ლუნაჩარსკის მდივნის—ერენჩერევაიასი და სხვ. განყ. გამგის—კუჩერისას, რადგან პირადად ვერ გამოცხადდენ ისინი. ორთავე იუწყებიან, რომ კინდერმანი და ვოლშტი ძალიან სცდილობდენ ამხ. ლუნაჩარსკის ნახვას, მაგრამ უკანასკნელმა ისინი მაინც არ მიიღო. ბოლოს მათი ქცევა ისე საეჭვოთ ეჩვენა ამხ. ლუნაჩარსკის, რომ იძულებული იყო შეეტყობინებინა სახ. პოლიტ. სამმართველოში.

ფაშისტებს ოინები არ გაუვათ.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარე იაროსლავსკიმ განაცხადა: „კინდერმანი და ვოლშტი აცხადებენ თითქოს მათის გასამართლებით საბჭოთა კავშირი სცდილობდეს ჩირქი მოსცხოს გერმანიის მთავრობასა და გერმანიის საელჩოს მოსკოვში. ჩვენი სასამართლო არას დროს არ ხელმძღვანელობს ამ ბოროტი განზრახვით და ყოველთვის სცდილობს არავითარი ზიანი არ მიაყენოს ამ ორ მეზობელ ქვეყნის საუკეთესო მეგობრულ დამოკიდებულებასო".

შემდეგ სასამართლომ მოუსმინა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელს კომინტერნში—ამხ. [illegible], რომელმაც ისტორიული მიმოხილვა და ანალიზი გაუკეთა ფაშისტურ მოძრაობას გერმანიაში.

ბრალმდებლის სიტყვა.

30 ივნისს, საღამოს სხდომაზე ილაპარაკა ბრალმდებელმა კრილენკომ, რომლის სიტყვაც გაგრძელდა 3 საათს. ის მოითხოვს ყველა ბრალდებულების წინააღმდეგ უმაღლეს სასჯელს.

ბრალდებულების მიერ გერმანიიდან გამოწვეულ მოწმეების—როზეს და ფინკის შესახებ—სასამართლომ დაადგინა: რადგან გარეშე საქ. სახ. კომისარიატის განცხადებით მათ წინააღმდეგ ბრალდების წამოყენებას ბევრი რამ ელობება წინ, ამიტომ ისინი გაძევებული იქნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან.

მიხლერი გააძევეს კომუნისტური პარტიიდან.

ბერლინი. 1 ივლისი. დურლახის კომუნისტურ ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხლერი გაძევებულია კომუნისტურ პარტიიდან.

თავის დროზე მიხლერმა მიიღო კინდერმანი კომუნისტურ პარტიაში შემდეგ 1921 წელს პირველ იანვარს მან კეთილსაიმედობის მოწმობა მისცა კინდერმანის მამას. მიხლერმა საჯაროთ აღიარა, რომ მისი გაძევება [illegible]

ქიათურის შავი ქვის კონცესიის გარშემო

ჰარიმანის წარმომადგენლის გ. რაშკოვიჩის ჩამოსვლა

მოკლე ხანში დაიწყება პრაქტიკული მუშაობა საკონცესიო ხელშეკრულების ცხოვრებაში გასატარებლად.—მუშაობის გეგმა შედგენილი იქნება საზ-ბა „ჩემო“-ს ლიკვიდაციის შემდეგ.—ევროპისა და ამერიკის საქმიანი წრეების ინტერესი კონცესიისადმი.—ჰარიმანის მიერ კონცესიის მიღება ხელს შეუწყობს უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას საბჭოთა კავშირში.—ამერიკის, ინგლისის და გერმანიის კაპიტალისტებს სურთ მონაწილეობის მიღება კონცესიაში.—რას წარმოადგენს ფირმა „ჰარიმანი და კომპანია“.

გუშინ დილით მოსკოვიდან საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა ამერიკული ფირმის „ჰარიმანი და კომპ.“ წარმომადგენელი გ. მარკ რაშკოვიჩი.

მასთან ერთად ჩამოვიდნენ ექსპერტი და მთარგმნელი კოტე ჯაყელი, ამერიკის დეპეშათა სააგენტოს —„ასოშეიტედ-პრესს“-ის კორესპონდენტი ჯემს მილსი და ჰარიმანის ფირმის თანამშრომელი დუგლას რობერტსი.

საქართველოს სამხედრო გზაზე.

რაშკოვიჩის შესახვედრად 30 ივნისს თბილისიდან გაემგზავრენ „ჩემოს“ წარმომადგენლები, რომლებიც გ. რაშკოვიჩს შეხვდნენ დარიალის ხეობაში, სადაც გ. რაშკოვიჩმა და „ასოშეიტედ პრესის“-ის კორესპონდენტს ჯემს ვილსმა დარიალის ხეობის რამოდენიმე ლამაზი ადგილის სურათი გადაიღეს.

იქვე ხიდზე ყველა მგზავრებმა გადაიღეს საერთო სურათი.

ფოტო-აპარატებს არ შეუსვენიათ თბილისისაკენ გამომგზავრების დროსაც: იღებდენ ლამაზ ადგილებს, გლეხებს, ძველი კოშკების ნანგრევებს და სხვა.

წვიმის გამო მგზავრები იძულებული იყვნენ ღამე გაეთიათ ფასანაურში.

გ. რაშკოვიჩი კონცესიის შესახებ

ჩვენს კორესპონდენტს ფასანაურში საუბარი ჰქონდა გ. რაშკოვიჩთან, რომელსაც განაცხადა, რომ ის არის ამერიკული ფირმის „ჰარიმანი და კომპ.“ ერთადერთი წარმომადგენელი მთელი საკონცესიო წარმოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორი სამუშაო იქნება შესრულებული პირველ რიგში, გ. რაშკოვიჩმა განაცხადა:

— ჯერ კიდევ მოსალოდნელია რამოდენიმე ფორმალური აქტი როგორც მთავრობის, ისე კონცესიონერის მხრიდან. ყველაფერი ეს შესრულებული იქნება უახლოეს დღეებში, რის შემდეგადაც დაიწყება მუშაობა ხელშეკრულების პირობების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

თქმა იმისა, თუ რას მოვკიდებთ ჩვენ ხელს პირველ რიგში, შეუძლებელია სანამ შედგენილი არ იქნება მუშაობის გეგმა; გეგმის შედგენა დაიწყება ახლო მომავალში 25 ინჟენერის—საკონცესიო წარმოების ყველა დარგების სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც ჩამოვლენ საზ-ბა „ჩემო“-ს ლიკვიდაციიდან ორი-სამი თვის გასვლის შემდეგ.

შეეხო რა საკითხს კონცესიის მნიშვნელობის შესახებ, გ. რაშკოვიჩმა განაცხადა:

— ამერიკის და ევროპის საქმიანი წრეები დიდის ინტერესით ადევნებდენ თვალყურს ჩვენი მოლაპარაკების მსვლელობას.

უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ მოლაპარაკების საგანი იყო ისეთი მსხვილი წარმოება, როგორიც არის ჭიათურის შავი ქვა. მეორეც იმიტომ, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდა ფირმა „ჰარიმანი და კომპ.“, რომელიც ამერიკაში ერთ-ერთ მსხვილ და ძლიერ სამრეწველო ჯგუფს წარმოადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთივე ინტერესით ადევნებენ თვალყურს ევროპის და ამერიკის საქმიანი წრეები იმ მუშაობის მსვლელობას, რომლის მიზანია საკონცესიო ხელშეკრულების განხორციელება.

კონცესია არის პირველი ცდა მუშაობის და ორგანიზაციის ამერიკული მეთოდების გამოყენებისა ახალ პირობებში—ამერიკის გარეთ.

ამ ცდის წარმატება უეჭველად ხელს შეუწყობს ასეთივე ხასიათის ცდების განვითარებას, ისეთი მსხვილი საბანკო სახლის მაგალითს კი, როგორიც არის „ჰარიმანი და კომპ.“ ამას შეუძლია გავლენა მოახდინოს ამერიკის მსხვილი კაპიტალის სხვა წარმომადგენლებზე, რომ ნორმალური საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ საბჭოთა კავშირთან.

ამერიკის, ინგლისის და გერმანიის ზოგიერთმა მრეწველებმა უკვე განაცხადეს სურვილი თანამშრომლობის ჩვენთან. 29 ივნისს ლონდონში უნდა გამართულიყო დაინტერესებული ფირმების და ფირმა „ჰარიმანი და კომპ.“ თათბირი, მაგრამ ამ თათბირის შედეგების შესახებ მე არაფერის თქმა არ შემიძლია, რადგან მე თვითონ არ მაქვს არავითარი ცნობები.

დასასრულ გ. რაშკოვიჩმა სრული იმედი გამოსთქვა, რომ ხელშეკრულების ყველა პირობები სისწორით იქნება ცხოვრებაში გატარებული. ამასთანავე მან სურვილი გამოსთქვა, რომ პრესამ ყოველთვის, როდესაც მას სურს შეაფასოს კონცესიონერის მოღვაწეობა, მიმართოს უშუალოდ კონცესიის პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, რომელიც ყოველთვის სიამოვნებით მიიღებს პრესის წარმომადგენლებს და მისცემს მათ საჭირო განმარტებას.

ფირმა „ჰარიმანი და კომპანია“

ფირმა „ჰარიმანი და კომპ.“ როგორც თანამშრომელს აცნობა ამ ფირმის წარმომადგენელმა გ. რაშკოვიჩმა, დაარსებულია ჰარიმანის მამის მიერ, რომელიც გარდაიცვალა 1909 წელში.

ეს ფირმა პირველ ხანებში აწარმოებდა, უმთავრესათ, რკინის გზების მშენებლობას. მის მიერ ამერიკაში გაყვანილია რკინის გზა რამდენიმე ათეული ათას კილომეტრის მანძილზე.

ახლა ფირმამ შესამჩნევად გააფართოვა თავისი მოღვაწეობის სფერო. მას აქვს მსხვილი სანაოსნო კომპანიები, ის ცნობილია საბანკო საქმეში და ამერიკის და ევროპის სახელმწიფოების, ქალაქებისათვის და სხვადასხვა ქვეყნების სამრეწველო ჯგუფებისათვის სესხის მიცემის საქმეში.

ჰარიმანის წარმოებებში უახლოეს მონაწილეობას იღებენ ის პირები, რომლებიც სათავეში უდგანან ფოლადის მრეწველობას.

ფირმა „ჰარიმ. და კომპ.“-ს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ამერიკის მსხვილი მრეწველ-კაპიტალისტებს შორის.

ეკონომიური ცხოვრება

სახელმწიფო დაწესებულებათა და სახ. სავაჭრო ორგანოების აღრიცხვა

ამჟამად საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიურო აწარმოებს საქართველოში მომქმედ ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფო სავაჭრო წარმოებათა ერთდროულ აღრიცხვას. აღრიცხვის მიზანია მიღებულ იქნეს რაც შეიძლება სრული ცნობები სახელმწიფო დაწესებულების და სახელმწიფო სავაჭრო წარმოებების რაოდენობის და აქ მოსამსახურე პერსონალის შესახებ, რომ შემდეგ შესაძლებელი გახდეს ამ დაწესებულება-წარმოებათა გაწესრიგება მათი მოქმედების ხასიათის, უწყების, სახსრების წყაროების, ხელფასის ტიპის მიხედვით. ყველა გამოსაკვლევ დაწესებულება-წარმოებას, შიგ მომუშავე პერსონალის რაოდენობის მიუხედავად, თბილისში და პროვინციებში დაეგზავნებათ სპეციალური ბარათები. რომელნიც შევსებული უნდა იქნენ და გაგზავნილი შრომის სტატისტიკის ბიუროში სამი დღის განმავლობაში. აღრიცხვას ექვემდებარებიან შემდეგი დაწესებულება - წარმოებანი: ხელისუფლების ყველა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები (სამხედრო უწყების და საგანგებო კომისიის გამოკლებით), სამეცნიერო დაწესებულებანი, ყველა ტიპის სასწავლებლები, საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულებანი, სამკურნალო დაწესებულებანი, სანატორიები და აგარაკები, სანიტარულ პროფილაქტ. დაწესებულებანი და აფთიაქები, სოციალურ დაზღვევის და სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებანი, სასოფ. მეურნეობის საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებანი, საბჭოთა მეურნეობა, ფერმებით. სატყეოები, ტყის სანერგეები, გლეხკომები, სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებანი, სავაჭრო-სამრეწველო, სამშენებლო წარმოებათა სამმართველოები, რომელთაც ექვემდებარებათ ან სატრანსპორტო, სამრეწველო, საკრედიტო, საგამომცემლო დაწესებულებანი, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიო და მსახიობთა დაწესებულებანი—(კინო, თეატრი და სხვა).

ტყავის ქარხნები

ტყავის დამამზადებელ სახელმწიფო ქარხნების მოიჯარადრეებმა შეამდგომლობა აღძრეს სახელმწიფო ორგანოების წინაშე, რათა მიიღონ სასწრაფო ზომები სატყეო წარმოებებისათვის ნუხის მასალის მისაწოდებლად, რადგან ამ მასალის დიდი კრიზისია და ქარხნებს შეჩერება მოელით.

თამბაქოს ქარხნის ხელახალი მოწყობა

აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველო შეუდგა თამბაქოს ქარხნის ხელახალ მოწყობას რომლის მიზანია იმ განყოფილებათა გამოცალკევება, რომელიც ცუდად მოქმედობს მუშათა ჯანმრთელობაზე და ამ განყოფილებებში მუშაობის მექანიზაციის შემოღება. განზრახულია წარმოების გადიდების მიზნით მთელი რიგი ახალი ცვლილებების მოხდენა. კაპიტალური შეკეთების დროს წარმოება ქარხნებში შეჩერდება [illegible]. მუშები გაშვებული იქნებიან ერთი თვის შვებულებაში.

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ამ ერთი კვირის წინად დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბათომის განყოფილების აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკათ გადაკეთებისთვის.

ბამბის ქარხანა აფხაზეთში

ა/კ. საბამბო კომიტეტის სამრეწველო განყოფილებას განზრახვა აქვს აფხაზეთში მოაწყოს ბამბის საწმენდი ქარხანა. პროექტი უკვე შედგენილია. ქარხანა იგება სამურზაყანოში სოფელ [illegible]ში.

აგურის მრეწველობა საქართველოში

აგურის ქარხნების მდგომარეობა ამ ჟამად საქართველოში ასეთია: სულ საქართველოში ამ ჟამად ითვლება 10 ქარხანა, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ.

ამ 10 ქარხნიდან 9 მოთავსებულია თბილისში, ერთი კი სამტრედიაში.

თბილისის 9 ქარხნიდან მუშაობს 5 ქარხანა (4 ქარხანა ეკუთვნის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საამშენებლო მასალების ტრესტს და ერთი ქარხანა—კერძო მოიჯარადრეს).

4 ქარხანა უმოქმედოთ სდგას. მათ შორის 3 ქარხანა ეკუთვნის, სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს, 1—კი კერძო მოიჯარადრეს.

4 უმოქმედო ქარხნიდან—2 გამოსადეგია სამუშაოთ, ორი კი მოითხოვს კაპიტალურ რემონტს.

ამრიგათ, ამჟამად მუშაობს 5 ქარხანა (მათ შორის 4 სახელმწიფოა და 2 კერძო); მათი წლიური ნაყოფიერება უდრის 10 მილიონ ცალ აგურს.

საქართველოში არსებულ ყველა ქარხნების მაქსიმალური ნაყოფიერება შეიძლება აყვანილ იქნეს 15.000.000 ცალ აგურამდე წელიწადში. აქედან 13 მილიონი მოდის თბილისზე.

ვინაიდან აზერბაიჯანში და სომხეთში არის მხოლოდ თითო ქარხანა, ამიტომ საამშენებლო ტრესტის ქარხნები [illegible] ემსახურება მთელ ამიერ-კავკასიას. საამშენებლო მასალების ტრესტის თბილისის ქარხნების პროდუქციის 80 პროც. მიდის ქალაქ თბილისის და საქართველოს ფარგლებს იქით.

ომამდე თბილისში იყო 22 კერძო ქარხანა, რომელთა საშუალო წლიური დამუშავების ნორმა უდრიდა 25 მილიონ ც. აგურს.

საამშენებლო მასალების ტრესტის ქარხნებმა დაამზადეს:

1) 1921 წ.—2 ქარხ.—370.000 ც. 1,5 პროც. ომის წინან. ნორ.

2) 1922 წ.—1 ქარხ.—445.000 ც. 1,9 პროც. ომის წინან. ნორ.

3) 1923 წ.— — — —

4) 1924 წ.—3 ქარხ.—3.500.000 ც. 14 პროც. მეტი ომის წინან. ნორ.

თავის დროზე საამშენებლო მასალათა ტრესტი ერთგვარ კრიზისს და დაბრკოლებებს განიცდიდა, მაგრამ ეხლა ის განმტკიცდა და გაფართოვდა. საამშენებლო მასალათა ტრესტის ქარხნებში აჟამად მუშაობს 400-ზე მეტი მუშა. ამ ტრესტის ცხოველმყოფელობა და საქმის რაციონალური დაყენება გამოაშკარავდა იმაში, რომ მისი ფაბრიკატები (კირი, აგური და სხვა) ამჟამად თავის ღირსებით აღემატება იმის წინა ხანების ფაბრიკატებს.

საქართველოს ს. მ. უ. ს. საამშენებლო მასალათა ტრესტის ფაბრიკატები გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში. ასე, მაგალითად, აგური, რომელიც მოსკოვის რაიონში ღირს 80 მანეთი ფრანკო-აშენება, დონის ბასეინში კი 60 მან. 1000 ცალი, საამშენებლო მასალათა ტრესტში ღირს 36—38 მანეთი ფრანკო-აშენება.

საამშენებლო მასალათა ტრესტის ქარხნები ამჟამად სრული დატვირთვით მუშაობენ და მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ როგორც მიმდინარე, ისე მომავალი წლის მოთხოვნილება.

მიმდინარე წელში საამშენებლო მასალათა ტრესტის საწარმოო პროგრამის მიხედვით 4 ქარხანამ უნდა დაამზადოს 7 მილიონი ცალი აგური, ე. ი. ომის წინა ხანების ნორმის 52 პროც.

მომავალ წელში უკვე იმუშავებს 5 ქარხანა, რომლებიც დაამზადებენ 10 მილიონ ცალ აგურს, ე. ი. ომის წინა ხანების ნორმის 40 პროც.

დამზადების ნორმა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნილებაზე. 1926—27 წლებში განზრახულია აგურის წარმოების მექანიზაცია, რაც პროდუქციას გაადიდებს 25 პროც. და 7 ქარხნის დამუშავების ნორმას გაადიდებს 30 მილიონ ცალ აგურამდე წელიწადში, ე. ი. ომის წინა ხანების ნორმის 120 პროცენტამდე.

სამგორის ველის მორწყვა

სამგორის ველი მდებარეობს თბილისის რაიონში ორ მდინარე მტკვარსა და იორს შორის კახეთის გზატკეცილის ორივე მხარეზე. სამგორის ველის ნიადაგი მეტად მდიდარია, მაგრამ ატმოსფერული ნალექების სიმცირის და აორთქლების მაღალი დონის გამო, ველი მეტად მწირი, უნაყოფო, გამოუყენებელია. ამ ველის მორწყვის პროექტი შედგენილი იყო მესამოცე წლებში ინგლისელ ინჟინრების მიერ, მაგრამ პროექტი დღემდე განუხორციელებელი დარჩა.

საქ. წყლის მეურნეობის სამმართველომ კვლავ დაამუშავა ეს პროექტი და წარუდგინა თბილისის ალმასკომს. პროექტით სამგორის ველის და თბილისის მიდამოების მორწყვა დაჯდება სულ 5.795.000 მ.

პროექტით არხი ასეთი არის აგებული: არხი იწყება მდ. იორის მარჯვენა მხარეზე [illegible] ჯარმის ზევით—ორი ვერსის დაშორებით. შემდეგ არხი გაივლის ჰუხროვანს ქვევით, რწყავს მუღანლოს ზევით მდებარე მინდორს ახალშენ მარიენფელდთან და აღწევს სად. ვაზიანთან მდებარე ზევანამდე. ამ ადგილას არხი იყოფა სამ შტოდ, რომელთაგან ორი მიდის თბილისისაკენ და ერთიც მიიმართება ყარაიაზისაკენ. პირველ ორ რტოში ზედა მათგანი გაივლის შემდეგ სოფლებზე: ახალსოფელსა, ნორიოსა, მარტყოფსა და დიდლილოზე და ჩანჩქერად ეშვება სოფ. გლდანთან.

ქვედა რტო ეშვება ჩანჩქერად ვაზიანის მინდორზე, გაივლის ლიჩინის წყალს და მიადგება თბილისთან მდებარე ავლაბრის ტბას და თავდება კოლონია ალექსანდერსფელდთან მდებარე ზევით ველზე.

შტო, რომელიც ყარაიაზისაკენ მიიმართება, რწყავს მარიენფელდს ზევით მდებარე ველებს. აქ ეს მთავარი შტო გამოჰყოფს შტოს ბალბინის მიმართულებით და შემდეგ ეშვება ჩანჩქერად ქვედა ყარაიაზის არხთან ზევით მდებარე ველების მოსარწყავად.

ამგვარად მთელი არხის სიგრძე იქნება 68 ვერსი. არხი უნაყოფო მიწების მიდამოებს აყვავებულ ბაღებად გადააქცევს და გაადიდებს მიწის ფონდს.

საქარ. ბანკის კომიტეტის მიერ გამოანგარიშებულია, რომ ამ სამგორის ველის 18 ათასი დესეტინაზე შეიძლება მოყვანილ იქნეს დიდძალი ბამბა. პირველ ხანებში ბამბით შეიძლება დაითესოს 4 ათასი დესეტინა, ბაღები გაშენდეს 3 ათას დესეტინაზე. ვენახები 2 ათას დესეტინაზე, ხოლო ბოსტნები 2 ათას დესეტ. დანარჩენი მოედანი შეიძლება გამოყენებული იქნეს პურის, სიმინდის, ქერის დასათესად და სათიბებად.

საქართველოს მესაქონლეობის გამოკვლევა

(საუბარი წარმოკავშირის გამგეობის წევრთან პროფ. ჯანდიერთან)

წარმოკავშირს განზრახვა აქვს შეუდგეს საქართველოს მესაქონლეობის გამოკვლევას. ამის შესახებ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა წარმოკავშირის გამგეობის წევრთან, პროფ. ჯანდიერთან, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— საქართველოს მესაქონლეობა არ არის შესწავლილი. მის შესახებ ჩვენ არ გვაქვს სწორი ცნობები. არსებული ცნობები საკმაოთ მოძველებულია, ის ეკუთვნის წარსული საუკუნის 70—80-იან წლებს, როდესაც აკადემიკოს მიდენდორფის ექსპედიცია მესაქონლეობის გამოკვლევას აწარმოებდა მთელ რუსეთში. ამ ექსპედიციას კავკასიაში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი ალ. კალანთაროვი, რომელმაც ექსპედიციის მასალების თანახმათ ადგილობრივი საქონელი დაჰყო ორ კატეგორიათ: დიდ-კავკასიურ და მცირე-კავკასიურ ჯიშებათ.

1908—09 წლებში მოხდენილი იყო თუშური და ხევსურული საქონლის შესწავლის ცდა. ამ მუშაობაში მეც ვიღებდი მონაწილეობას, მაგრამ მას საგრძნობი ნაყოფი არ გამოუღია, რადგან თანხების დაგვიანებით მიღების გამო მუშაობაც გვიან დაიწყო და ის არ ყოფილა დასრულებული. ჩვენ მოვაგროვეთ და გადავხაზეთ 200 საქონლის თავის ქალა, რომლებიც ეხლა ინახება მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში.

ეხლა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დასმულია საკითხი ადგილობრივი ჯიშის საქონლის გაუმჯობესების შესახებ. ამ საკითხზე მსჯელობა ჰქონდა საგეგმო კომისიასაც. მაგრამ ჩვენ თუ არ შევისწავლეთ საქართველოს მესაქონლეობის ეხლანდელი მდგომარეობა, ძნელი იქნება იმ ღონისძიებების გამომუშავება, რომლებიც საჭიროა მის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ საერთოდ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს მსხვილფეხა საქონელს, ეს იმ დროს, როდესაც საქონელს; რომელიც სცხოვრობდა ასეთ ისტორიულ-ბუნებრივ პირობებში, როგორიც არის საქართველოში, სახელდობრ: საუცხოვო საძოვრები, ჯანსაღი ჰაერი და სხვა, აქვს მრავალი მშვენიერი თვისებები.

ამ აზრს ამტკიცებს, სხვათა შორის, ერთი სრულიად საკავშირო ხასიათის მაგალითი: სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 1922 წელს ტექნიკურმა ინსტიტუტმა შეიძინა ერთ ჩვენებური ფშაური ძროხა, რომელიც იწონიდა 9 ფუთს (ეს წონა სხვა თაშორის ცოტაა), როდესაც ის მოხვდა კარგ პირობებში, მან არა თუ მეტოქეობა გაუწია რუსული ჯიშის საქონელს, არამედ გაუსწრო კიდეც მას.

კარგმა შენახვამ, კარგმა საკვებმა, საკვების დროზე მიცემამ და საერთოდ კარგმა მოვლამ იმოქმედა ამ ბუნებით მდიდარ მასალაზე ისე, რომ ხბოს მოგების მეორე თვეზე ის უკვე იწველიდა 36 გირვანქა რძეს, ე. ი 18 დიდ ბოთლს. ამ ძროხის რძეში ცხიმის შემადგენლობა უდრიდა 3,8—4,2 პროც., ეს იმ დროს, როდესაც ჰოლანდიური ძროხის რძეში ცხიმი შეადგენს 3 პროც.

ასეთი კარგი თვისებები აქვს არა მარტო მსხვილფეხა საქონელს, არამედ ცხვარსაც, შინაურ ფრინველსაც, ღორსაც და სხვა.

სანამ შევუდგებოდეთ საქართველოს მესაქონლეობის მასიურ გაუმჯობესებას, საჭიროა შევისწავლოთ ის მასალა, რომელიც მას აქვს.

ამ მიზნით განზრახულია საქართველოში დაარსებული იქნეს მესაქონლეობის ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივი საქონლის შესწავლას, გამოკვლევას და დაამუშავებს მიღებულ მასალებს მესაქონლეობის გაუმჯობესებისათვის სწორი გზების და საშუალებების შესამუშავებლათ.

ასეთი ცენტრი იქნება ზოოტექნიკური სადგური, რომელიც არსდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და ადგილობრივი კოოპერატიული გაერთიანებების ხარჯზე.

მესაქონლეობის გამოკვლევა გაგრძელდება სამი წელიწადს; გამოკვლევა დაიწყება მიმდინარე წელში და თითო წელიწადში გამოკვლეული იქნება ხუთი მაზრა.

ზოოტექნიკური სადგურის მოწყობის და სათანადო ნიადაგზე დაყენების საკითხი მოითხოვს სასწრაფო გადაწყვეტას, რადგან ამ სადგურმა დასაყრდენი პუნქტის როლი უნდა ითამაშოს ჩვენს მუშაობაში.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

მეთამბაქოების გარშემო

საქართველოს სახ.-სამეურნეო ბანკის გამგეობამ გასცა სესხად 50.000 მან. კახეთის მეთამბაქოეთა შორის გასანაწილებლად.

შესდგა კომისია ამხ. ლ. გამყრელიძის (თავმჯდომარე), კაკაბაძის და ე. წიეწიაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეადგინოს სათანადო ინსტრუქცია მეთამბაქოებისთვის მიზნობრივი კრედიტის გაცემის საერთო წესების შესახებ.

მასთან ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა განსაზღვრულ რაიონში ყველა თამბაქოს დამამზადებელ ორგანიზაციამ გასცეს თამბაქოს დამზადებისათვის თანაბარი რაოდენობის ავანსი.

ს. მ. უ. საბჭოს აგურის ქარხნების ტფილისის ალმასკომის განკარგულებაში გადაცემა

ს. მ. უ. საბჭოს ტფილისში არსებული აგურის ქარხნები და მისი დამზადებული პროდუქცია გადაეცა ტფილისის ალმასკომს.

შესდგა კომისია ამხ. ლ. გამყრელიძის (თავმჯდომარეთ), ა. ღოღიკაშვილის და ასრიევის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს და გამოარკვიოს ხსენებულ ქარხნების ტფილისის ალმასკომისათვის გადაცემის წესები.

ს. მ. უ. საბჭოს ტყავტრესტი

ეკონომიურმა საბჭომ მიიღო ცნობად ამხ. ღოღიკაშვილის მოხსენება ს. მ. უ. საბჭოს ტყავტრესტის საერთო მდგომარეობის შესახებ.

დაევალა ამხ. ს. ჯუღელს გამოსძებნოს ტყავტრესტის საჭიროებისათვის ტყავის ნედლეულობის შესაძენად საჭირო თანხა 170.000 მანეთამდე ბანკების საშუალებით ერთი წლის ვადით.

დახმარება სტიქიურ მოვლენებით დაზარალებულ სოფლის მეურნეობას

სტიქიურ მოვლენებით დაზარალებულ სოფლის მეურნეობის აღსადგენად გადადებული თანხიდან გაღებულია 15.000 მან. ტფილისის ალმასკომის განკარგულებაში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად და მეფუტკრეობის აღსადგენად.

საბჭოთა სასამართლო

პროკურორ მაჭავარიანის, ჟორბენაძის და სხვ. საქმე

2 ივლისის დილის სხდომაზე უზენაესმა სასამართლომ დაასრულა ბრალმდებლის დასკვნის წაკითხვა.

სასამართლო შეკითხვას აძლევს ბრალდებულებს: სცნობენ თუ არა თავს დამნაშავედ?

არც ერთი ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს.

ამის შემდეგ სხდომა შეწყდა და მორიგი სხდომა დაინიშნა საღამოს 7 საათისათვის.

ქრონიკა

— **დაზღვეულები.** თბ. მყოფ დაზღვეულთა საერთო რიცხვიდან, 37,000, ორი მესამედი ითვლება სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში, მეათედი—კოოპერატიულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, დანარჩენი კი კერძო წარმოებებში.

— **საექიმო დახმარება ხევსურეთს.** ჯანმრ. სახ. კომისარიატის ცნობით, ამ ბოლო ხანებში ფშავ-ხევსურები თავს აღწევენ ექიმბაშებს და ძლიერ ეტანებიან იქ არსებულ 2 საექიმო სადგურს.

— **სულით ავადმყოფთა ინსტიტუტის** საბოლოო მოსაწყობათ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასდო 700 მან.

— **მატყლის დახარისხება.** წარმოკავშირმა ნავთლუღში შეაკეთა ბამბის საწყობი, სადაც მატყლის დახარისხებაზე ამჟამად მუშაობს 110 კაცი.

— **ტრამვაის სამმართველო** ამ დღეებში შეუდგება მიწის ქვეშა მავთულების გამოცვლას.

— **ქუჩების განათება.** ტრამვაის სამმართველომ მოაწყო ელექტრონით განათება მუშტაიდიდან კირკის ქუჩამდე.

— **პროფსკოლათა რიცხვის გადიდება.** თბ. ალმასკომის განათლების განყოფილებამ შეადგინა კომისია მომავალ სამოსწავლო წლიდან თბილისსა და მის მაზრაში პროფსკოლათა რიცხვის გადიდებისათვის სათანადო გეგმის შესადგენად.

— **საბავშვო ბაღები.** განათლების განყოფილების დადგენილებით მომავალ სამოსწავლო წლიდან საბავშვო ბაღები გაიხსნება ალბულაღსა და საგარეჯოში, სადაც აღსაზრდელათ მიღებული იქნებიან აგრეთვე ადგილობრივი გლეხების შვილები.

— **სკოლების შესაკეთებლად** განათლების განყოფილებამ თბ. ალმასკომის პრეზიდიუმისაგან გამოითხოვა საჭირო თანხა. შეკეთებული იქნება განყოფილების განკარგულებაში მყოფი ყველა სკოლები საფუძვლიანად.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.** თბ. განათლების განყოფილება დუშეთსა და მანგლისში ხსნის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს. მეცადინეობა ორივე კურსებზე დაიწყება 10 ივლისიდან.

— **ცემენტის ქარხანა.** თბილისის სამეურნეო საბჭოს განზრახული აქვს კავთისხევის რაიონში მოაწყოს ცემენტის ქარხანა.

— **შრომის კოლექტივში.** საქსოვი ქარხანა-კოლექტივმა დამატებით შეიძინა 10 საქსოვი მანქანა. ამას გარდა საზღვარგარეთიდან მიიღო ყელსახვევის საქსოვი სამი მანქანა, ნასკოვების საკერი 2 მანქანა და ფილდიკოსის ჯარა.

— **თბ. შრომის ბირჟა** შეუდგა კოლექტივ „წითელი მეწვრილმანეების“ სარევიზიო გამოკვლევას.

— **საზოგადო სამუშაოებში** 1 ივლისს მთელ საქართველოში ითვლებოდა ათასზე მეტი მუშა-ხელი.

— **ძვირფასი ჯიშის ხეები.** სატყეო განყოფილებასთან შეთანხმებით ტყის მრეწველობის ტრესტი იწყებს ძვირფასი ჯიშის ხეების დამზადებას საბჭოთა კავშირსა და გარეშე ბაზრებზე გასასაღებლად.

— **ტყის მოშენების მიზნით.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა თრიმლის თესლის დამზადებას.

— **საქ. მ. გ. ინსპექციის** წინადადებით სატყეო განყოფილება შეუდგა ერთიან დებულების შემუშავებას გლეხობაზე სატყეო მასალის შეღავათიან პირობებში გაცემის შესახებ.

— **სოც. დაზღვევის სამართველომ** საქ. ფიზკულტურის საბჭოს აპატია მასზე დარჩენილი დავალიანების საურავი.

— **მოზარდი მუშები.** შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო-საამრჩეველო საბჭოს დადგენილებით 16—18 წლიან ორივე სქესის მოზარდთათვის ასაღებ ტვირთის სიმძიმე არ უნდა აღემატებოდეს 1 ნახევარ ფუთს.

— **სოციალ დაზღვევის საქმე.** მუშათა შორის სოციალური დაზღვევის პროპაგანდის საწარმოებლად თბ. დამზღვევმა სალარომ შეიძინა სოც. დაზღვევის შინაარსის წიგნები, რომლებიც უფასოდ დაურიგდება მუშებს.

— **ექსკურსია.** გეოგრ. საზ-ბის მგზავრისნული განყოფილება შაბათს, 4 ივლისს, აწყობს გაფრენას ზედაზენში, ზაჰესში და არმაზში. გასვლა შაბათს საღამოს 8 ნახ. საათზე მატარებლით. დაბრუნება ორშაბათს საღამოს, წინასწარი ჩაწერა საექსკურსიო ცენტრ. ბიუროში. (გიორგის ქ. № 4).

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, ივნისის 4-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალოუბნის ქ. № 1) მოხდება საზოგადოების კრება. კრების საგანია: 1) მ. ჯანაშვილის მოხსენება. კიმრები და ქართველები—„სახლი თარგამოსისა დასასრულისაგან ჩრდილოისა“, 2) კამათი პრ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენების—„ქართული და კავკასიის ენების ნათესაობის პრობლემის“ გამო და 3) ახალ წევრთა არჩევა. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

მუშათა ცხოვრება

ეს დარაბები მუშათა ბინებათ გამოიყენეთ

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

განაპირა უბნებში მოიპოვება ისეთი დარაბები, რომლებიც სიძველის და მოუვლელობისაგან ინგრევა. მათი შეკეთებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ჯერჯერობით სწარმოებს მხოლოდ ბინების შეკეთება ალმასკომის მიერ. რაც შეეხება ყოფილ პატრონებს, ისინი სულ ვერ შეაკეთებენ დარაბებს,—რადგანაც ისინი უკვე არ შეადგენენ საკუთრებას. ამავე დროს მოიპოვებიან ისეთი მუშები, რომლებიც თანახმა არიან თავიანთ ხარჯზე შეაკეთონ და ბინებად გამოიყენონ ის დარაბები, რომლებიც ხუთ წელზე მეტია არა ქირავდებიან და უკვე ინგრევიან.

საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს სადარაბო სექციამ, და ეცადოს, რომ ბინებად მაინც გამოიყენონ მუშებმა.

მუშკორი მკერვალი ნიკო.

ჩვენი მუშური მადლობა ასეთ მუშაკს

ჩვენს დაწესებულება წამოწყებებში ბევრი არის ისეთი ამხანაგები, რომლებსაც გული შესტკივათ უმუშევარ მუშა-მოსამსახურეებისთვის, და დაუღალავ შრომით სურთ დაეხმარონ უმუშევართ, ჩვენი მოვალეობა არის ასეთი ამხანაგები გავაცნოთ ფართე საზოგადოებას.

ასეთ საუკეთესო ამხანაგთაგანი არის ქ. ალმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. დომენტი თალაკვაძე, მეტად მგრძნობიარე და თავაზიანი ვისაც ჰქონია საქმე ამხ. თალაკვაძესთან უმუშევრობის დროს ის დაგვიმოწმებს, რომ ამხ. თალაკვაძე არის ღირსი მადლობის.

ერთი კვირის უკან ამხ. თალაკვაძემ, ფინინსპექტორებთან მომუშავე „წერითი დამხმარე ბიუროს“ თანამშრომლებს, რიცხვით 24 კაცს, მისცა საშუალება, რომ იმუშაონ და კვებონ თავიანთი ცოლშვილი. შეძლებისდაგვარად.

უსურვებთ დღეგრძელობას ამხ. თალაკვაძეს.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

უმადური და უგუნური ნაშვილები

ამხ. ბესარიონ გაგუა არის ხანში შესული ყოფ. მუშა, [illegible] წევრი (წიგნ. № 1984). მას მოუკვდა ცოლ-შვილი და გაგუას ოჯახის ბატონ-პატრონი შეიქნა ვინმე ქეთევან გეგელია (მის მიერ აღზრდილი) ქეთევანმა ამხ. გაგუას ოჯახიდან წაიღო ბევრი ნივთები და საერთოდ ჩაიდინა ბევრი სისაძაგლე თავის აღმზრდელის წინაშე. ამხ. გაგუამ უჩივლა გეგელიას. სასამართლომ გეგელია გაამტყუნა. ამის შემდეგ ქეთევანმა მოუგონა გაგუას ბინის გაქურდვა. სასამართლომ სცნო გაგუა უდანაშაულოდ, ქეთევანს კი, როგორც ცილისმწამებელს, მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ქეთევან გეგელიამ მოხუცებულ ბესარიონს, თავის აღმზრდელს, მაგრამ მუშურმა სასამართლომ გეგელიას მიუძღო ღირსეული ჯილდო.

პაჭკური.

გამოგზავნილი წერილებიდან

ალაგმეთ ეს ვაჟბატონი.

(მილიციის საყურადღებოდ).

მიმოსვლის ქ. № 19 სცხოვრობს ივანე ბონდარევი (ყოფ. ოფიცერი ნიკოლოზის დროის). ჰყავს ორი შვილი (პირველი ცოლისაგან 13 და 11 წლისა). ეს ვაჟბატონი საცოდავ ბავშვებს სცემს, ამუშავებს დღე და ღამე და სიმშილით ხოცავს. თვითონ „შეჩექმეა“, მაგრამ, როგორც „უმუშევარი“, დამზღვეულია და ყველაფრით სარგებლობს. ალაგმეთ ასეთი უხეში მამა.

ინფ. მეთვალყურე.

მადლობა ამ მუშაკებსაც

თბილისის მე-3 საავადმყოფოში (კამოს ქ. № 34), ქალთა განყოფილების ექიმი ნინა მირიანაშვილმა და მოწყალების დამ არუსიაკ სოლომონოვამ თავიანთი დაუღალავი შრომით და ფაქიზი მოქცევით ავადმყოფებისადმი დიდი მადლობა დაიმსახურეს.

ეს კი სხვებისთვის მისაბაძი მაგალითია.

უხილავი.

ხელოვნება

ვახტანგოვის სახელობის სტუდიის წარმოდგენები

„პრინცესსა ტურანდოტ“

თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში დიდ საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამ სტუდიის გასტროლები.

1 ივლისს წარმოდგენილი იქნა კარლო გოცცის ოთხმოქმედებიანი ზღაპარი „პრინცესსა ტურანდოტ“.

ეს წარმოდგენა განსაკუთრებით არის საყურადღებო იმიტომ, რომ აქ მჭერმეტყველურად არის გადმოცემული ამ ახალი თეატრის სახე, მისი შემოქმედების სული და მრავალ შესაძლებლობათა წინასწარი მოხვეჭა მხატვრული ბლოთით.

ეს არის მართლა სრული გარდაქმნა და განახლება თეატრისა. აქ არის გადალახული ყველა ძველი მეთოდები თეატრალურ ხელოვნებისა.

პიესის განსახიერება, სცენიური მშვენებლობა, ტანთსაცმელი, მსახიობთა ქცევა და მთლიანი ტონი წარმოდგენის სრულქმნისათვის—ეს არის სასტიკი დათრგუნვა აქამომდის არსებულ თეატრალურ კანონებისა.

ეს არის ლაღი გადაფრენა ხელოვნების ახალ სამფლობელოში, სადაც შეჩერება შეიძლება მხოლოდ შესასვენებლად. ისე კი ყოველგვარი ზღუდე არღვეულია, რომ ლამაზად და გამბედავად იარონ წინ ხელოვნების ახალი და ახალი მოჩვენებათა მოსაპოვებლად.

ავტორის, რეჟისორის და მსახიობს თანაბარი ღვაწლი მიუძღვით ამ მხატვრულ შემოქმედების მთლიანობაში. დეკლამაცია, პლასტიკა, სიმღერა, მუსიკა და ბოლოს ფიზკულტურაც ორიგინალურად და მოხდენილად არის გამოყენებული მათი [illegible]რულ უნივერსალობისა და თანაც მთლიანობის შესაქმნელად. აქ განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი რითმიულობას, რაც ახალისებს და აკეთილშობილებს მთელ წარმოდგენას.

ყველაფერი ეს კი გახვეულია ფაქიზ და მხატვრულ ზომიერებით ნაქარგ იუმორში, რაც ზოგჯერ ირონიის იერსაც იღებს.

ყველაზე დამახასიათებელი კი ამ თეატრისა ის არის, რომ მას შეუგრძვნია სული თანამედროვე ეპოქისა: მრავალფეროვნება, ფერადოვნება, სისწრაფე, სიმკვეთრე, სიხალისე, თავისებურობა და თანაც უაღრესი მხატვრულობა, რასაც საზღვრად უდებენ ზომიერების ალღოს.

ამასთანავე ცხადათ ეტყობა, რომ ამ თეატრს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს რომელიმე მიღწევით და გაიყინოს ერთ წერტილზე. ეს შეუჩერებელ წინსვლასა და ახალ მოპოვებათა თეატრია, რითაც ძირიან-ფესვიანათ განსხვავდება სხვა თეატრალურ მიმდინარეობათაგან.

„პრინცესსა ტურანდოტში“ გადმოიღინება უმაღლესი და ხანიმუშო მიღწევანი ამ თეატრისა.

მაყურებელი თავიდან ბოლომდის: ჩაფლული არის მხატვრულ ფერებსა, რითმებსა, ორიგინალობასა და იუმორში.

აქ აღარ არსებობს წარსულ მსახიობის შაბლონი. ახალ მსახიობში კი სულ სხვა ძარღვის ცემაა, სხვა მეტყველება სხვა ნახტომები, რაც საფუძვლით ენათესავება დღევანდელ ცხოვრების მღელვარებას და სიძლიერეს.

რომელიმე მსახიობის გამოყოფა ამ ერთი წარმოდგენის მიხედულობით უხერხულად გვეჩვენება. აქ ყველანი თითქოს თანაბარის სიყვარულითა და უნარიანობით ჰქმნიან იშვიათ ახალგაზრდულ და საღ ანსამბელს.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია, როგორც სცენის, აგრეთვე თვით მსახიობების გარდაქმნა და შემზადება აუდიტორიის თვალწინ.

საუცხოვოდ არის შეფარდებული მუსიკა თავისი ორიგინალურის საკრავებით როგორც მთელ წარმოდგენის სტილთან, აგრეთვე განცდის სხვადასხვა მომენტებთანაც.

დეკორატიული მხარე საგანგებოთ თავისებურია და მხატვრული განათება და კოსტიუმებიც საუცხოვოდ არის შეფარდებულა მთელი წარმოდგენის ჰანგთან.

თავისებური და ლამაზი იყო თვით მსახიობების პარადი როგორც წარმოდგენის დასაწყისს, აგრეთვე დასასრულსაც.

საერთოდ ვახტანგოვის სახელობის სტუდიის მიერ სრულიად ახალი სიტყვაა თქმული თეატრალურ შემოქმედებაში და ყოველი მოტრფიალე ხელოვნებისა დიდის გულმოდგინეობით მოისმენს ამ ახალ სიტყვას.

დლი.

— **ხელოვნების მუშაკთა საზაფხულო** კლუბში ყოველ დღე გაიმართება კონცერტი ბოშათა რომანსების შემსრულებელი ქალის თამარ მაჩაბელის მონაწილეობით.

— **„წითელი სინათლე“.** გამოვიდა ს. შავგულიძის მოთხრობები: „წითელი სინათლე“. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს 5[illegible] კ.

პროვ ქრონიკა

შემთხვევები

— **ქურდების შეპყრობა.** 1 ივლისს შეიპყრეს ტვირთმზიდავები ზაქრო აბოვი [illegible] უსუპოვი და ახმედ ოსიპოვი, რომელთაც ბრალდებათ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საწყობიდან (ცეტკინის ქ. № 183) მუშაობის დროს საქონლის მოპარვა.

— **გაუპატიურება.** სად. ვაზიანის მახლობლად ხევში სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახის მცხოვრებმა გიორგი პატარკალიშვილმა გააუპატიურა 14 წლის ბავშვი [illegible] სოფ. ნორიოს მცხოვრ. დამნაშავე მიმალულია.

— **ქურდობა.** 30 ივნისს ლენინგრადის ქ. № 8 გაქურდეს დიანოზ კარაპეტოვის ბინა, წაიღეს 400 მან. ნივთები.

— 1 ივლისს ყორღანოვის ქ. № 28 გაქურდეს ბარბალე გროტიშოვის ბინა.

— **კოოპერატივის გაქურდვა.** 1-ლ ივლისს ღამით გაქურდეს მალაკნების კოოპერატივი მდებარე საბურთალოზე. წაღებული საქონლის ღირებულება გამოურკვეველია.

სოფლად

ამხ. ფ. მახარაძე ს. მუხრანის გლეხთა ყრილობაზე

28 თიბათვეს შესდგა მუხრანის თემის საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრო ამხ. ფილიპე მახარაძე. კრების გახსნამდე 60-დე პაწია პიონერამდე გამწკრივებული მოხდენილად მიესალმა ქალარა მესვეურს. ამის შემდეგ გაიხსნა კრება, რომელზედაც 70 საბჭოს წევრთა გარდა ხალხი ბლომათ დაესწრო.

ამხ. ფ. მახარაძემ, სხვათა შორის, დაახლოვებით შემდეგი სთქვა: ჩვენ გვინდა ქვეყნის მართვაში იყოს ჩაბმული რაც შეიძლება მეტი გლეხობა, მთავრობასა და მშრომელთა შორის იყვეს მჭიდრო კავშირი და ამისთანა კრებებზე ვეცნობოდეთ ერთმანეთს. მთავრობის წევრის დასწრება თემის საბჭოს ყრილობაზე პირველია ჩვენ რესპუბლიკაში. ვეცდებით ხშირ-ხშირად ვესწრებოდეთ ამისთანა ყრილობებზე და უშუალოდ ვეცნობოდეთ ხალხის ჭირ-ვარამს.

მერე ამხ. მახარაძე გამოეხმაურა საბჭოს უპარტიო წევრებს, რომელთაც გულახდილად მოუთხრეს სოფლის ჭირ-ვარამი.

აქვე უამბეს დიდსეტყვა-ნიაღვარზე, რომელიც მოვიდა 25 მაისს. ჯერ იყო კოკისპირული წვიმა დიდი სეტყვით. ადიდდა ხევები, წამოვიდა ფრეზეთზე, გზადაგზა შეუერთდნენ სხვა ხევები და მოზღვავებული სტიქია დაექანა მინდვრებისკენ მცინარე ნარეკვავის ძიმართულებით. ბაღები და მოსამკალი ყანები წაიღო ფრეზეთისა, მილის წყაროსი, ერელასი, წილკნისა და ახალუბნისა. ისეთი დიდი ნიაღვარი მოდიოდა, რომ ხეები გაქერქილია 3—4 არშინის სიმაღლეზე. ბევრს დაუნგრია სახლები, დაიხრჩო ბავშვი, 5 კამეჩი, ხარი და ცხენი. ფრინველის მსხვერპლი ხომ ძალიან ბევრია. ყანები და ვენახები მთლად წალეკა და ქვა-ლოდებით გაავსო. ამხ. მახარაძემ მთავრობის სახელით აღუთქვა დაზარალებულთ დახმარება.

შემდეგ მან დაათვალიერა უნივერსიტეტის მუხრანის მამული.

ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა ამხ. ფ. მახარაძის ტკბილი ლაპარაკით და მამა-შვილური დარიგებით.

მ. შატბერაშვილი.

წერილებიდან

ბეჟათ-ბულუხეთის თემი (სენ. მაზ.) ჩვენს თემსა და კულაშის თემს შორის დიდხანს სწარმოებდა დავა საყანე და საძოვარ მიწებზე. ბოლოს უთანხმოება მოგვარებული იქნა მაზრების მიწათ-განყოფილების დახმარებით და მოდავე მხარეთა წარმომადგენლების თანხმობით. ის იყო უნდა დაესრულებიათ გეზათლებს საზიარო მიწების თხრილის საშუალებით გაყოფა, რომ თავს დაესხა მათ 100 კაცამდე წალდნაჯახებით შეიარაღებული კულაკები, დამ[illegible] დაარღვიეს ღობეები და შეასწორეს თხრილები. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება, რომ თავიდან აცილებული იქნას მოსალოდნელი სისხლის ღვრა ამ ორ თემთა შორის, გამოინახოს საშუალება [illegible] საბოლოოთ მოსაწესრიგებლად.

ცხენისპირელი

ს. მუხრანი. 21 ივნისს ამ სოფელში მიდიოდა წარმოდგენა. სალარომ ერთ და იმავე ადგილზე რამდენიმე ბილეთი გაჰყიდა. ამიტომ ზოგიერთები, რომელთაც ფული ჰქონდათ გადახდილი, გულდაწყვეტილი უკან ბრუნდებოდენ. ეს იმ დროს, როცა თეატრში უბილეთო ხალხი ისხდა. საჭირო გახდა საქმეში პარტკომის მდივნის ჩარევა. იმედია კლუბის გამგეობა აღარ დაუშვებს შემდეგისათვის ასეთ შემთხვევებს, თორემ წარმოდგენის და კმაყოფილების ნაცვლად თეატრს შეუძლია მხოლოდ უკმაყოფილება გამოიწვიოს.

მუშა ა—ლა.

ს. ზემო-აკეთი. (გურია) ჩვენი სოფლის გლეხები მადლობას უცხადებს ამხ. სამუელ ხუხუნაშვილს, რომელმაც გაიღო გლეხკომის ფონდის სასარგებლოდ ექვსი მანეთი და თითო წლით გამოუწერა ჩვენს სამკითხველოს ორი გაზეთი.

თ.

ცხენისპირელი

სოფლის ქრონიკა

— **სამედიცინო დახმარება.** [illegible] (ზესტაფონის მაზრა) ბათუმიდან გაიგზავნა ერთი ექიმი ადგილობრივი გლეხებისათვის სამედიცინო დახმარების გასაწევად.

— **ახალი სკოლების გახსნა.** განზრახულია აჭარის შემდეგ სოფლებში: ფერიისა, ჩაისა, გვახევსა და ყადიოღლეში.

— **საჭიროა მუშაობა.** სოფელი [illegible] (სიღნაღის მაზრა) დიდ გაჭირვებაშია [illegible] უწყლობის გამო. გლეხებმა აირჩიეს კომისია წყლის გამოსაყვანად, მაგრამ დღემდე კომისიას არაფერი გაუკეთებია.

— **გლეხების ნადი.** სოფ. [illegible] (ზუგდიდის მაზრა) შემდგარმა გლეხების ნადმა ჩაიბარა გლეხკომისაგან წისქვილი. კომუნაში ირიცხება 45 წევრი.

— **აგარაკები გლეხებს.** ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა გლეხკომებს გადასცა მაზრაში არსებული ყველა საგარაკო ადგილი.

— **ბორანი.** სოფ. ბ[illegible]ს (რაჭა) გლეხებმა დაადგინეს მდ. რიონზე გააკეთონ ბორანი.

— **სამეურნეო იარაღები.** ზუგდიდის გლეხობას განზრახული აქვს შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც განაწილებული იქნება გლეხკომებს შორის.

ჩვენი ფოსტა

ოზურგეთი. ჰ. [illegible]ჯანის მალაზიას. საჯაროთ გეკითხებით გადაიხდით თუ არა თქვენზე რამოდენიმე თვის დარჩენილ გაზეთის ფულს. ჩვენ არ შეგვიძლია გავსცეთ აქეთი დიდ ვადიანი კრედიტი. თუ თქვენგან დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მივიღეთ იძულებული შევიქნებით შევწყვიტოთ გაზეთის გზავნა და მივმართოთ კანონიერ გზას. ამ განცხადებით ჩვენ ვხსნით თავიდან ყოველგვარ პასუხისმგებლობას თქვენი რაიონის მკითხველების წინაშე.

„კომუნისტის“ კანტორა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 4 ივლისს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია **ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

ს. კ. პ. თბ. პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

— ლენინის რაიკომი იუწყება: დღეს, 3 ივლისს, საღამოს 5 საათზე, [illegible]ვის თეატრში საერთო სარაიონო პარტიული კრების გაგრძელება.

დასწრება სავალდებულოა ლენინ-რაიონის ყველა პარტ-წევრებისა და კანდიდატებისათვის.

— დღეს, 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე შესდგება **ს. კ. პ. ც. კ. საორგანიზაციო კოლეგიის რიგითი სხდომა.**

დღის წესრიგში დგას საკითხი სოფლის უჯრედების გამოკვლევის შედეგების შესახებ. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: 1. [illegible], 2. მუხაძიოვი, 3. სვანიძე. 4. ლიტვინოვი არტ., 5. ცხელიშვილი, 6. [illegible]ოვანესიანი, 7. ხაცკევიჩი, 8. მირიმანოვი, 9. გეურქოვი, 10. აფციაური, 11. ნერსესოვი. 12. ლაშხი, (ა | კ. ფინსახკომი), 13. თაყაიშვილი, 14. კოჩიაშვილი, 15. ფანცხავა, 16. ლეკიაშვილი, 17. ჩხარტიშვილი, 18. იაშვილი (ა | კ. შრომის კომისარი), 19 გურგენიძე (ს. გან. კომისარიატი), 20. გრ. გოგიბერიძე. (მთავლიტი), 21. კობახიძე (თ. კ.) 22. ბლუაშვილი (32-ე დივიზიის პოლიტ. განყ.).

ვთხოვთ ამხანაგებს არ დააგვიანონ.

ს. კ. ც. კ. საორგან. განყ. მდივანი: ჟღენტი

კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად არსენალის რაიონის მუშები და მოსამსახურეები იკრიბებიან შემდეგ პუნქტებში:

1. მუშათა ცენტრალურ კლუბში 3 ივლისს საღამოს 6 საათზე.

ა) „პროლეტარი“ და როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა; ბ) კარტონის ფაბრიკა; გ) 1, 2 და მე-3 ქალაქის საავადმყოფოები; დ) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი; ე) ტრანსპორტის მუშები („ცენტროტრამვაის“ და „ავტოპრომტორგის“ შოფერების გაერთიანებული ადგილკომი; ვ) მე-3 საქარხნო კომიტეტი.

2. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში 3 ივლისს საღამოს 6 საათზე.

ა) ტრამვაი და საფაბრიკო-საქარხნო სკოლა; ბ) საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სააპიო ამ—ბა („გრუზგოსტორგი“); გ) შინამრეწველობა; დ) სახელმწიფო კინომრეწველობა; ე) მეტყავეები; ვ) სახელმწიფო ღვინის ტრესტი.

3. 26 კომუნარის სახელობის კლუბში ლითონის ტრესტი 4 ივლისს დღის 12 საათზე.

ა) სპილენძის ჩამომსხმელი ქარხანა; ბ) 26 კომუნარის სახელობის ქარხანა; გ) 1-ლი სახელოსნოები; დ) მე-2 სებ. ქარხანა; ე) მიმოსვლის საშუალებათა სარემონტო ქარხანა; ვ) ქიმიური ქარხნები; ზ) ელექტრონზე მომუშავენი.

4. მელითონეების კლუბში 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე.

ა) სანიტარულ-ტექნიკური კავშირი; ბ) სახერხავი ქარხანა; გ) სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო; დ) ცეკავშირი; ე) სამკერვალო ფაბრიკა; ვ) დამზღვევი სალარო.

5. არსენალში 3 ივლისს დღის 2 საათზე.

ა) არსენალი; ბ) ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის სკოლა.

6. საბჭოთა მოსამსახურეების კლუბში 6 ივლისს საღამოს 6 საათზე.

ა) მუშათა მთლიანი კოოპერატივი და კოოპერატივის ტრანსპორტი; ბ) ამიერკავკასიის კავშირი; გ) „პროლეტკულტი“; დ) წყალსადენის სახელოსნოები; ე) აღმშენებელნი; ვ) განათლების მუშაკთა კავშირის 14 და 15 ადგილკომი.

მდივნის მაგიერ მელაძე.

[illegible]—21.0.0

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ბ. ლომიძეს ქარ. მუშფაკის უჯრედიდან დღეს, 3 ივლის, დღის 12 საათზე გამოცხადდეს ინსტრუქტორ ცხომელიძესთან.

— დღეს, 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოწვეულია 1-ლი რაიონის დიასახლისების საერთო კრება. დღის წესრიგში: მოხსენება „საერთაშორისო კოოპერაციის დღეზე“. დასწრება სავალდებულოა ყველა დიასახლისთათვის.

— ხაჰაერო ფლოტის და ქიმიის მეგობართა საზოგადოებების მე-3 რაიონული საბჭო იუწყება, რომ დღეს, 3 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე, მესამე რაიონის პარტიულ კლუბის შენობაში შესდგება „ავიოქიმ“-ის უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

დღის წესრიგი: 1. საჰაერო ფლოტის მეგობარ. საზოგ. რაიონულ საბჭოს ანგარიშები; 2. ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების რაიონულ საბჭოს ანგარიშები; 3. ავიოქიმის რაიონულ საბჭოს არჩევნები; 4. ინსტრუქტიული მოხსენება ავიოქიმის უჯრედების მუშაობის შესახებ. ავიო-ქიმიის ბიურო უჯრედების ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

განცხადებები

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მამა ივანე შიოს ძე, დები ელენე და მარიამი, ძმები ალექსანდრე, გიორგი და ირაკლი გოგლიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 1 ივლისს 1925 წ. აგარაკ შოვში (რაჭა) ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის შვილი და დანარჩენების ძმა

ვასილი (ვასიკო) ივანეს ძე გოგლიძე

ცხედრის ჩამოსვენების და დაკრძალვის დრო დამატებით იქნება გამოცხადებული. № 1844—1—1

ღრმად დამწუხრებულნი სიძეები: თადეოზ ალექსის ძე ალაძე შვილით ნინოთი, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ალაძე ცოლით ნინოთი, შვილებით მიტუშა და რეზიკოთი და ქვრივი და ოლღა ივანეს ასული სხირტლაძისა შვილებით ემმა და ირაკლით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 1 ივლისს 1925 წ. აგარაკ შოვში (რაჭა) ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის გამო უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილი (ვასიკო) ივანეს ძე გოგლიძე

ცხედრის ჩამოსვენების და დაკრძალვის დრო დამატებით იქნება გამოცხადებული. № 1844—1—1

მშობლები: ეფროსინე ანტონის ასული და ფარნაოზ ბეჟანის ძე, დები: ლარისა, ელიკო და ნუნუ და ძმები: კოკი, გოგია და გუგუშა გაბუნიები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 5 ივლისს, დღით კვირას, 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საფიხხის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის მუდამ სახსოვარ

დავით (დათიკო) ფარნაოზის ძე გაბუნიას

სულის მოსახსენებლად № 1836—2—1

თბილისის რკინის-გზის საავადმყოფოს საბებიო გინეკოლოგიურ განყოფილების მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ძვირფას თანამშრომლის

ჰაიკანუშ მოსეს ასულის მინასაშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება საკუთარ სახლიდან: ბრიგადირის ქ. № 21 ნაშუადღის 3 საათზე. № 1846—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მარო მაჭავარიანი და შალვა გაბრიჩიძე აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავებს, რომ პირველ ივლისს დილით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი გოგონა

მზია

გამოსვენება მოხდება გუდოვიჩის ქ. № 5, ვერის სასაფლაოზე. პარასკევს, სამ ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე. 2—2 ნ. 1416

გულდათუთქული ბაბუა ზაქარია მაჭავარიანი, ბებია სოფიო მაჭავარიანისა, დეიდა თალიკო მაჭავარიანი და ბიძები ლევან, კონსტანტინე და ირაკლი მაჭავარიანები, აცნობებენ თავის ნათესავ და ნაცნობ-მეგობრებს, პატარა

მზიას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათზე, გუდოვიჩის ქ. № 5. დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე.

2—2 ნ. 1416

გულდაწყვეტილი აკაკი და ალექსანდრა ჭყონიები და ბებია აფთონა გაბრიჩიძისა მწუხარებით დასტირიან პატარა

მზიკოკას

უდროოთ გარდაცვალებას.

2—2 ნ. 1416

ქ. თბილისის საგინაო სახალხო სასამართლო

(ყოფ. ნიკოლოზის ქ. № 48) იწვევს, როგორც მოპასუხეს, მოქ. ბაგრატა ოსკანიანცს საქმეზე ძიებისა გამო არჩილ ბლიაძისა, მასთან ბინის ქირაზე, რომელი საქმის განხილვა დანიშნულია ა | წ. 5 სექტემბერს ზემოხსენებულ სასამართლოში. თუ ზემოხსენებულ რიცხვში არ გამოცხადდება, საქმე მოსმენილი იქნება არსებითად.

სახალხო მოსამართლე ხოლქვაძე

1—1 ქ. 1841 მდივანი ჭავჭავაძე

ქ. თბილისის 1 და მე-6 უბნის ფინინსპექტორები

თანახმად სახელმწიფო გადასახადების ზკრების წესდების მე-7 მუხლისა, აცხადებენ, რომ ა | წ. 5 ივლისს დილის 10 საათზე ხაზინის ქუჩაზე, სამფინანსო შემოსავალ-გასავლის სალაროს შენობაში, სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების დასაფარავად დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგ ნივთებისა: 1) ოდესის პადოშვის ტყავი; 2) საყასბოს მოწყობილობა; 3) კედლის საათის, 4) დასადგმი საათის და სხვა ნივთების.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს გირაო შეფასების თანხის 10 პროც.

პირველი და მეექვსე უბნის ფინინსპექტორები

ნ. 1423—1—1

გარეუბნის სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ოდიშარია ამით აცხადებს, რომ 10 ივლისს ა. წ., დღის 2 საათზე, ს. ოლგინსკაიაში, მეორე ვაჭრობით გაიყიდება იმავე სოფლის მცხოვრებთა ბოიჩენკოვების, ელენინების, კალინჩიკოსი და სხვ. მოძრავი ქონება 2,500 კრამიტი, შეფასებული 50 მანეთ. და ტყის მასალა, შეფასებული 230 მან. დასაკმაყოფილებლად ვლადიმერ კარპენკოსა. ვაჭრობა შეიძლება იქნეს დაწყებული დავისუფალ ფასიდანაც.

სასამართლოს აღმასრულებელი კ. ოდიშარია. 1—1 1828

ქ. თბილისის მე-2-ე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი

ლ. სვიატოდუხოვი აცხადებს, რომ 8 ივლისს 1925 წელს დღის 12 საათზე ოქრომჭედელთა შესახვევში სახლი № 2. საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მოქ. ზაფათა ენუქაშვილის ქონება, რომელიც შესდგება საოჯახო ნივთებიდან ქონება შეფასებულია 144 მანეთად, დანიშნული გასასყიდათ სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის ვალის გადასახდელათ 700 მანეთის რაოდენობით პროცენტებით დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის 7 მაისის 1925 წ. №11039-ის ძალით.

სასამართლოს აღმასრულებელი სვიატოდუხოვი.

ნ. № 1432—1—1

მიხა ჩოდრიშვილის სახელობაზე

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება არის ყოველდღე 1 მკათათვიდან 10 საათ. დღის 1 საათ. ხელოსნების კლუბის მდივანთან ან 5 ს. საღამოს 7 საათამდე კურსების გამგე ივანე ზაქ. ძე ტერ-სტეფანოვიან პლეხან. ქ. № 66

№ 1 843—1—1

პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს

ცალკე ხელისმომწერლებმა ფოსტის ბარათზე უნდა გარკვევით აღნიშნონ სახელი, გვარი, მისამართი, გაზეთის რაოდენობა და გაწერის ვადა.

2. ფოსტის ბარათზე აგრეთვე საჭიროა აღნიშნონ უახლოესი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.
3. კოლექტიური ხელისმომწერლები მოვალენი არიან გადმოგვიგზავნონ სიები ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ შემოწმებული.
4. ხვედრი ფულის გადმოგზავნა უნდა ხდებოდეს უთუოდ გაზეთის გამოწერისთანავე.

0—11 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

„წინანდალი“

ამით აცხადებს, რომ 12 ივლისს 1925 წელს სოფ. წინანდალში, თელავის მაზრა, საკუთარ შენობაში შესდგება საზ. „წინანდალი“-ს წევრთა

წლიური საზოგადო ყრილობა

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება 1923 | 4 საოპერ. წლის საქმიანობის, ანგარიშებისა და მისი დამტკიცება.
2. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება 1924 | 5 საოპერ. წ. საქმიანობისა.
3. მოხსენება საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.
4. მიმდინარე საკითხები.
5. არჩევა გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.

1—1 № 1838 საზოგად. წინანდალი“-ს გამგეობა

კომუნისტური თეატრი

დღეს, პარასკევს, 3 ივლისს,

დისპუტის გაგრძელება

„პროლეტარული რევოლუცია და ხელოვნება“

ოპონენტები: გრ. რობაქიძე, ი. გედევანიშვილი, შ. დადიანი, პ. გელეიშვილი, (ყარიბი), ელსნერი, მელიქ-დარპინიანი, ს. ამაღლობელი, მ. გოგიბერიძე, ს. ეციკოვი, გ. საყვარელიძე, ხ. ეული და სხვ.

უკანასკნელი სიტყვა: ვარდენ მგელაძე, სეით დევდარიანი

დარჩენილი ბილეთები იყიდება: დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ნ. 1424. 1—1

ს. ს. ს. რ. ს. ს. ს. რ.

ლითონის ტრესტი

ამზადებს

1. სპეციალური ტიპის სახნისებს საქართველოსათვის.
2. ხელის სანიავებლებს.
3. პურძნის საწურის პრესს.
4. სიმინდის საფშვნელს.
5. ყოველნაირ სასწორებს.
6. რკინის საწოლებს.
7. თუჯის ჭურჭლეულობას სოფლისათვის
8. წყლის ბრუნაროებს.
9. ყოველნაირ მასალებს ყესტიდან
10. სპილენძს ფურცლებათ და რგოლებათ.
11. აწარმოებს გალვანიური წესით: მოვალვას ნიკელით, მოვერცხლვას, მოოქვრას და სხვა.

საწყობებში ყოველთვის არის:

სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რკინეულობა, ლურსმანი და სხვადასხვა რკინის საქონელი

მისამართები:

გამგეობა—საბჭოთა ქ. № 115. ტელ. 20—53, 19—54.
მაღაზია № 1—პლეხან. და კირკის ქ. კუთხე, ტელ. 3—94
მაღაზია № 2—პუშკინის ქ. რკინის მაღაზიების რიგი № 890.
მაღაზია № 3—გლეხის (ცენტრალური სახლი, კარლ მარქსის ქუჩა, ყოფილი სასტუმრო „ლონდონი“.

ლითონის ტრესტის ბაქოს ანგარანი

1—1 ნ. 1391 კომერციული დირექტორი გურნშტეინი ქალ. ბაქოში, ჯაფარიძის ქუჩა № 4.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ ჩედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—20

ექიმი **გ. გ. მეგრაბიანცი**

ვად მყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—24

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი,

25—4

ექიმი **გ. მ. ფალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—15

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—24

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).

ზოგადი საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

25—23

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ № 38.

25—4

ექიმი **გ. ი. შ პალნიკოვი**

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.

25—3

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—7

ჩალვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მონხი

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—2 1793

ხუთშაბათს, 2 ივლისიდან

იხსნება ახალი საზაფხულო თეატრი

„სპარტაკი“

სადაც ნაჩვენები იქნება სასურათო [illegible]

პირველად თბილისში

აკრობატის ტრაგედია

დრამა 6 ნაწილად.

შესანიშნავი მსახიობი კარლ დე ფოგტის მონაწილეობით

ფასები: კერძოთათვის 40 კაპ.
პროფკავშირის წევრთ 30 კაპ.
კლუბის წევრთათვის 10 კაპ.

მისამართი: ვერის დაღ. № 1. ყოფ. ბაღი ამირანი.
ნ. 418 4—2

მომავალი სასწავლო წლის ნორმალურად დაწყების მიზნით ტფილისის განათლების განყოფილება ამით აცხადებს, რომ ტფილისის ყველა

შრომის სკოლებში მისაღები თხოვნები

მიიღება დღეის რიცხვიდან ივლისის დამლევამდე შემდეგ სკოლებში:

1 რაიონი—მე-33 შრ. სკოლაში (ქართული)— კოოპერატივის ქ., № 17, მე-61 შრ. სკოლაში (რუსული) ალექსანდრეს ქ., № 58.

2 რაიონი—მე-2 შრ. სკოლაში (ქართული)—კამოს ქ. № 52,
მე-47 შრ. სკოლაში (რუსული)—პლეხანოვის პრ. № 40,
მე-81 შრ. სკოლაში (სომხური)—ჩერქეზიშვილის ქ. № 29,

3 რაიონი—მე-4 შრ. სკოლაში (ქართული)—პეტრე-პავლეს ქ., № 16,
მე-63 შრ. სკოლაში (რუსული)—კახეთის ქუჩა, № 51
მე-84 შრ. სკოლაში (სომხური)—ავლაბრის ქ., № 34,
მე-86 შრ. სკოლაში (სომხური)—კახეთის ქუჩა, № 23,

4 რაიონი—მე-8 შრ. სკოლაში (ქართული)—ერმოლოვის ქუჩა, № 3
მე-20 შრ. სკოლაში (ქართული)—საბურთალო, მასწავლებელთა ყოფილი სახლი, მე-2 ბორანთან,
მე-53 შრ. სკოლაში (რუსული)—საბურთალო ქუჩა, № 23,
მე-57 შრ. სკოლაში (რუსული)—ლენინის ქუჩა, № 4,
მე-72 შრ. სკოლაში (სომხური)—ლერმონტოვის ქ., № 8

თხოვნებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები სოციალური მდგომარეობის, წლოვანებისა და განათლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში თხოვნები არ განიხილება.

თხოვნაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იქნეს ის სკოლაც, რომელშიც მოწაფის მიცემა სურთ.

დანარჩენ ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში თხოვნები პირდაპირ იმ სკოლაში უნდა იქნეს მიცემული, რომელშიაც შესვლის სურვილი აქვთ.

3—1 ნ. 1411 ტფილისის განათლების განყოფილება.

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან დ. ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. 25—11

ბალცევის აგარაკი ბაღის მახლობლად

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ბლინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—25

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე. სომხის ბაზარი № 3.

25—15

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—24

ექიმი **ე. გ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს.

[illegible]: ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—25

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—24

დაკარგე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფ-კავშირის საწევრო წიგნაკი № 6342 მიხეილ მიხეილის ძე დევდარიანის სახელობაზე. ჩ. გ.
1834 1—1

დაკარგე პირადობის უვადო წიგნაკი № 291, გაცემული შინ.-მოქ. სახ. კომისარიატის მიერ სოფიო დავითის ასული ჯაფარიძის სახელზე. ჩ. გ.
1842 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი № 264 ალექსანდრე პავლეს ძე კვესელავას სახელზე. ჩ. გ. 1839 1—1

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2571 | 795 ერემია უჯმაჯურიძის სახელზე. ჩ. გ. 1847 1—1

დაკარგე პარტიის საკანდიდატო ბარათი № 4915 და კავშირის წიგნაკი № 3750 ალექსანდრე გუბერიძის სახელზე. ჩ. გ. 1848 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 476 და ბათომში ნოქრად ნამსახურობის მოწმობა გრიგოლ ივანეს ძე ებრალიძის სახელზე. ჩ. გ.
1840 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 22750 მატრონა ალექსანდრეს ასული რუაიას სახელზე. ჩ. გ.
1845 1—1

დაკარგე კომკავშირის წიგნაკი № 15255 და რევოლვერის ტარების მოწმობა მიშა ლუარსაბაშვილის სახელზე. ჩ. გ.
1835 1—1

დაკარგე საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 4544 ალექსანდრა ლომაძის სახელზე. ჩ. გ.
1837 1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სიმ. წულუკიძის ქ. № 4